ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 30 იანვარი 1997 №10 (375) ფასი 40 თეთრი



# ვინ იქნება ხუთში ერთი

— ახალგაცს სასტუმროში შევხვდი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შემომთავაზა. უარი არ მითქვამს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემს გარდა კიდევ 4 კანდიდატი — ყიფიანი, ნოდია, ხურცილავა და ჭეიშვილი ყოფილან, რომელთაგან ერთ-ერთს თებერვალში აღმასკომი დაამტკიცებს. ვის ამოირჩევს აღმასკომი, ეს კი არ ვიცი.

*რევაზ ძოძუაშვილი, 29 იანვარი*







# დინამო ესენგედან გამოვარდა

თამაშის წინ რევაზ ძოძუაშვილმა თქვა: გაორებული ვარ და ვღელავ. ჩემი გუნდის მოგებაც მინდა და „დინამოსიცო"...

**დინამო 0:0 სკონტო**

**პენალტებით 4:5**

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ზ. ჭელიძე, დ. მუჯირი (ზამთარაძე 75), კუდინოვი, დიდავა, კიკნაძე, ცქიტიშვილი, კერძევაძე, დემეტრაძე, ხომერიკი (ყიზილაშვილი 46)

**სკონტო:** კოლინკო (ლაიზანსი 89), მიხოლაპი (ლიდაქსი 85), რეხვიაშვილი, შევლიაკოვი, სილაგაძე, ივანოვი, შტოლფერსი, პახარი, ბაბიჩევი (ჩალაძე 46), ბლაგონადიოჟნიი (ბლეიდელისი 74), ზემლინსკი

1:0 დემეტრაძე, 1:1 ზემლინსკი, 1:1 ცქიტიშვილი (მეკარე), 1:1 შტოლფერსი (მეკარე), 2:1 ზამთარაძე, 2:2 ბლეიდელისი, 3:2 ყიზილაშვილი, 3:2 ჩალაძე (მეკარე), 3:2 კერძევაძე (მეკარე), 3:3 პახარი, 4:3 კუდინოვი, 4:4 ივანოვი, 4:4 კალაძე (მეკარე), 4:5 ლაიზანსი

**მსაჯი:** ვ. ჟუკი (ბელარუსი)

მატჩის წინ ცნობილი იყო, რომ „დინამო" დანაკლისით ითამაშებდა — ტრავმის გამო აკლდა მცველი ჩხაიძე. იმავე მიზეზით „სკონტოში" ვერ უნდა ეთამაშა ჩალაძეს, მაგრამ მან მაინც შეძლო მეორე ტაიმში გამოსვლა და თავისი გუნდის თამაშს სიმწვავე შემატა. მატჩამდე დინამოელთა ექიმმა ზაქრო თელიამ გვითხრა, თითქმის ყველა დინამოელს მიკროტრავმებით უხდება თამაშიო. და მაინც, მათგან გამარჯვებას ველოდით. დარბაზში უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი და მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეძახილებით ამხნევებდნენ თბილისელებს, დიდი ვერაფერიშვილი თამაში იხილეს, თუ პენალტების დრამატულ სერიას არ ჩავთვლით.

„სკონტო" თავიდანვე საიმედოდ ჩადგა დაცვაში და „დინამოს" იერიშებს საჯარიმოს მისადგომებთან უმკლავდებოდა. თბილისელებმა შორეული დარტყმები ირჩიეს, მაგრამ თავი გამოიდო მეკარე კოლინკომ, რომელმაც საოცარი ბურთები მოიგერია. თუმცა, თავიდან მას ძელებიც წაეხმარნენ. ჯერ მეოცე წუთზე კუდინოვის დარტყმული მოხვდა ჯვარედინს, ოცდამეათეზე კი კიკნაძისა მარცხენა ძელს.

ლატვიელთა ერთადერთი იერიში პირველი ტაიმის მიწურულს განხორციელდა, მაგრამ მიხოლაპის დარტყმა კარს ასცდა. მეორე ტაიმში „დინამოცა" და „სკონტოც" ერთურთის წინაშე შემადგენლობაშეცვლილნი წარდგნენ. ლატვიელებმა მოედანზე მუხლნატკენი ჩალაძეც გამოიყვანეს, თბილისელებმა კი ყიზილაშვილი, რომელსაც უმალ სილაგაძე მიეწება.

70-ე წუთამდე საინტერესო მაინც არაფერი მომხდარა. აქ კი კოლინკომ ერთ წუთში ორი უძლიერესი დარტყმა მოიგერია: მან ჯერ მუჯირს აული შორიდან დარტყმული, მერე კი დიდავას. თამაშის დამთავრებას წუთიღა უკლდა, კოლინკომ ცქიტიშვილის ჯარიმაც რომ მოიგერია. აქ „სკონტომ" მეკარე შეცვალა. ლატვიელთა ჩანაფიქრი იოლი მისახვედრი იყო: მათ კარში ჩააყენეს პენალტების სპეციალისტი, რომელსაც თავიდან ზოიძემ კი აჯობა, მაგრამ ბოლოს ლაიზანსმა ზოიძეს თანაგუნდელებიც დაჩაგრა და თავად ზოიძეც.

გადამწყვეტი დარტყმა კალაძეს გაუცუდდა, მანამდე კი კერძევაძეს შეეძლო საქმის გათავება, თუმცა გამარჯვების შანსი კალაძის დარტყმის შემდეგაც იყო, როცა ლაიზანსის დარტყმულს ზოიძე წაეტანა, მაგრამ ბურთი კარში მაინც შევარდა.

მატჩის შემდეგ „დინამოს" მთავარი მწვრთნელისა და „სკონტოს" მწვრთნელ-კონსულტანტს გავესაუბრეთ.

დავით ყიფიანი: „სკონტო" არ იყო ის გუნდი, ჩვენ რომ გავეგდეთ. ეს შეხვედრამაც დაადასტურა. ჩვენ მათ ვაჯობეთ, მაგრამ შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ამის მიზეზი ახალგაზრდების გამოუცდელობაა, რომელთაც ვერ გაუძლეს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დატვირთვას, რომელმაც კულმინაციას მიაღწია. ისე, ტურნირი უქმად არ ჩაივლის, რადგან ბიჭები სწორედ ასეთ დაძაბულ ბრძოლებში შეეჩვევიან თამაშს. მეტოქეს გულწრფელად ვულოცავ, იმის მიუხედავად, რომ წაგებას არ ველოდი და ძალიან განვიცადე.

**რევაზ ძოძუაშვილი:** ძალიან ვნერვიულობ, გამარჯვება მიხარია და არც მიხარია. პენალტის დარტყმა არცერთ ქართველს არ სურდა, მაგრამ ჩალაძეს მწვრთნელმა ძალით დაარტყმევინა.

**მამუკა კვარაცხელია**

**მოსკოვიდან**



## სკილეტას ცსკა ელოდება

გუშინ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი მამუკა კვარაცხელია მოსკოვში ცეესკას მთავარ მწვრთნელს პაველ სადირინს შეხვდა. მან დაადასტურა ცნობა იმის თაობაზე, რომ დიდი სურვილი აქვს, ნუგზარ ლობჟანიძე თავის გუნდში იხილოს. სადირინის თქმით, იგი მოსკოვის „ტორპედოსთან" უეფას თასის მატჩისას დაკვირვებია ლობჟანიძეს და ძლიერაც მოსწონებია.

ლობჟანიძე ჯერ მოსკოვს არ წასულა, მაგრამ მას იქ უახლოეს დღეებში ელიან. წუხელ გვაცნობეს, რომ მისი საკითხი უკვე გადაწყვეტილია — ლობჟანიძე ცეესკაში ითამაშებს.

**საქართველო............ 80**

**ბელარუსი.................. 78**

# მოგება უცენტროდაც შეგვძლებია

დარჩენილია 2,20 წუთი: დაცვაში ბურთი ავილეთ და თორთლაძე დროულად პოულობს ფარქვეშ ქარაბაკს — 71:72.

2,03: ჩხეიძე კლემეზზე დაჯარიმდა, ამან კი ორივე ჩააგდო — 71:74

1,25: ქარაბაკი დიდხანს იდგა სამქულიანის ხაზთან. ბოლოს გარღვევაზე წავიდა და მაღალი კაუჭით ჩააგდო, თანაც მასზე დაჯარიმდნენ და ლევანმა ის ერთი საჯარიმოც გამოიყენა — 74:74.

1,27: ბელარუსებმა დიდხანს ატარეს ბურთი. ბოლოს ისევ კლემეზმა გარისკა — გარღვევით დიდი ნახევარწრე მოხაზა და ჩხეიძეს დაჯარიმების მეტი არაფერი რჩებოდა. ამჯერად კლემეზმა მხოლოდ ერთი ჩააგდო — 74:75

1,17: თორთლაძემ კარგად შენიშნა გახსნილი ბეჟანიშვილი. ის ფარზე აიწია, მაგრამ სვეტნიკმა ხელებში ჩაარტყა, რისთვისაც მეხუთე პერსონალური მიიღო და გავარდა. ვაკომ ორჯერვე ივარგა — 76:75.

0,47: ჩხეიძემ პირით ხაზთან იბრძოლა და ჩაჭრა ბურთი, რომელიც ნაცვლიშვილს გაატანა. ვატო გაფრინდა და ჩატენა — 78:75.

0,33: ჩვენები მჭიდროდ ეთამაშებიან მეტოქეს, მაგრამ კლემეზმა დრო იხელთა, წამიერად განთავისუფლდა და ნახევარტრიალში სამქულიანი ჩააგდო — 78:78

0,01: თორთლაძემ თითქოს მოედნის ცენტრში ატარა ბურთი. ბოლო მომენტამდე სროლას არ აპირებდა. ბოლოს მარცხნიდან შევიდა და ცალი ხელით ისროლა. რგოლსმოხვედრილ ბურთს ბეჟანიშვილმა გადმოვარდნა არ აცალა და დროული დამატებით საქართველოს ნაკრებს ამ ციკლში მესამედ გაამარჯვებინა — 80:78.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## თავაძე — გურიაში

ლანჩხუთის „გურია“ მთავარმა მწვრთნელმა გიგლა იმნაძემაც რომ დატოვა და ფეხბურთელების უმრავლესობამაც, უკვე გაუწყეთ. მეორე წრე კარს არის მომდგარი, მაგრამ გურიიდან საიმედო ჯერ არაფერი ისმის. ერთადერთი სიახლე ის არის, რომ „გურიას“ მთავარ მწვრთნელად ყოფილი დინამოელი გია თავაძე დანიშნესო. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, გურულები დღე-დღეზე უნდა შეუდგნენ მეორე წრისთვის სამზადის.

## სიონსაც შველებია

ადრე ვწერდით, ბოლნისურ გუნდს ძალიან უჭირს, დაშლის პირზეაო. მართლაც, მთელი იანვარი წყდებოდა „სიონის“ საკითხი და ბოლოს როგორც იქნა, რაიონის ხელმძღვანელობა კლუბის თავკაცებს შეხვედრია, პირობებზე მოულაპარაკებიათ, უკეთესობას შეპირებიან და უთქვამთ, ყველა პირობას შეგიქმნით, რათა გუნდი 3 თებერვალს შეიკრიბოსო. მზადებას, ტრადიციულად, დაბა კაზრეთში დავიწყებთო, გვითხრა „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა ანზორ გძელიძემ. მოგეხსენებათ, ბოლნისიდან ბლომად ფეხბურთელები წავიდნენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, გძელიძეს გუნდის დაკომპლექტება არ უნდა გაუჭირდეს. მეორე წრიდან ბოლნისში ვიხილავთ მეკარე თემურ ჩლაიძეს, გურიიდან გადმობარგებულ გურამ ხოსროშვილს, ყოფილ მერანელებს გია და ალიკო ჭანტურიებს. კლუბის ხელმძღვანელობას კიდევ რამდენიმე მოთამაშე შეურჩევია, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვინაობას არ ამხელენ, რადგან მათი გადაბირება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. მოკლედ, „სიონსაც“ შველებია.

## უმოქმედო მარგვეთი

ჩვენი ჩემპიონატის 16 პირველჯგუფელი გუნდიდან ერთადერთი ზესტაფონის „მარგვეთია“, მეორე წრისთვის მზადებას რომ არ ჩქარობს. ფეხბურთელთაგან, ნაწილი გუნდიდან გარბის, ნაწილი ინდივიდუალურად ემზადება. მწვრთნელებიც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. საქმე ის გახლავთ, რომ „მარგვეთს“ ფინანსურად გასჭირვებია, მწვრთნელ-მოთამაშეები პრეზიდენტს ელიან, ის კი ჯერ არ ჩანს. არადა, ფეხბურთელები თურმე გუნდიდან განთავისუფლების ქაღალდს ითხოვენ, ჩვენს ბედზე ჩვენვე ვიზრუნებთ, თორემ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზესტაფონში გუნდი იშლებაო. „მარგვეთის“ ასეთ დღეში ყოფნა ნამდვილად დასანანია — ამ კლუბმა ხომ შარშან ევროთასებში მონაწილეობასაც გაუსინჯა გემო. მართალია, ევროპაში სირცხვილიც გვარიანი გვაჭამეს, მაგრამ მარგველები წელსაც საპრიზო ადგილებზე გასვლას და შელახული ავტორიტეტის აღდგენას ლამობდნენ.

## გაგუას ბიჭები ემზადებიან

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულმა საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრებმა 10-დან 24 იანვრამდე ბათუმში გაიარა ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი. გუნდის მწვრთნელი რეზო გაგუა მეტად კმაყოფილია ბათუმელთა თანადგომით, რომელთაც ყველანაირი სავარჯიშო თუ საყოფაცხოვრებო პრობლემა მოუგვარებიათ. ეს შოთა ჭეიშვილის, ასლან ბალაძის, გონელი ქორიძის და მალხაზ ჩიჩუას დამსახურება ყოფილა. ახლა კი უშუალოდ მზადების თაობაზე: „ვცხოვრობდით სასტუმრო „თანამგზავრში“ — გვითხრა რეზო გაგუამ — ორჯერად ვარჯიშებს მონაცვლეობით ვატარებდით ბეენზეს, ანგისას და ჩაისუბნის სტადიონებზე. ორი საკონტროლო შეხვედრაც ვითამაშეთ: „ბათუმი-2“-ს 3:2 მოვუგეთ, (2 გოლი აფხაზავამ გაიტანა, ერთი ბურდულმა), „იაგუარ-კახაბერთან“ კი ფრედ 0:0 დავასრულეთ. ამ შეხვედრაში 4 ახალი მოთამაშე გავსინჯეთ: ზუგდიდელები კალანდია და ქარდავა, ბათუმელი ჩიჩუა და ზესტაფონელი შავგულიძე. ბათუმის შეკრება ნაყოფიერი გამოდგა და კმაყოფილი დავრჩი. ამჟამად ბიჭები ორკვირიან შვებულებაში გავუშვი. 10 თებერვალს კვლავ შევიკრიბებით თბილისში და I და II ჯგუფების გუნდებთან 5-6 საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას ვგეგმავთ“.

## ცხადაძეს და გახოკიძეს გოლები გააქვთ

ვლადიკავკაზის „ალანია“, რომელმაც გუშინ დაამთავრა შეკრება ისრაელში, თელავივის და ფეთახ თიკვას „მაკაბებთან“ გამარჯვების შემდეგ ისრაელისვე „ჰაპოელს“ (2:1), ოდესის ჩერნომორეცს (5:3) და სიმფეროპოლის „ტავრიას“ (4:2) მოუგო. ამ მატჩებში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა 4 ქართველმა ფეხბურთელმა. თუკი ცხადაძის, შელიასა და კობიაშვილის ძირითადში თამაში გასაკვირიც არაა, სასიამოვნო მოულოდნელობაა გახოკიძეზე დაყრდნობა. ამჟამად ამის მიზეზი, შესაძლოა, ლიტვური ტრიოს მიკროტრავმები იყოს, მაგრამ „ტავრიასთან“ მატჩში გახოკიძემ დაამტკიცა, რომ მისთვის ნდობა ტყუილად არ გამოუცხადებიათ. პირველ ორ გოლს, რომელიც იანოვსკიმ გაიტანა, ცხადაძემ თაური და გახოკიძემ ბრწყინვალე დრიბლინგის შედეგად გატანილი გოლი მიაყოლა — იუწყება „სპორტ-ექსპერსი“.

## ტარხანოვის დათხოვნილთ ბიშოვეცი გასინჯავს

ცეესკადან „ტორპედოში“ გადაბარგებულმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა იმდენი ფეხბურთელი მიიყვანა ახალ გუნდში, რომ იქ დახვედრილი სამი ქართველისთვის ადგილი აღარ დარჩა. მისი თქმით, იონანიძე, დათო ჯანაშია და ვოსკანოვი გუნდიდან საბოლოოდ გაუშვა. იონანიძის და ჯანაშიასთვის ეს დიდი უბედურება არ გახლავთ, რადგან სოჭის „ჟემჩუჟინასთან“ ჯერაც თითო წლიანი კონტრაქტი აკავშირებთ და თუ ახლახან გამოჩენილი „ზენიტის“ ვარიანტიც არ გამოუვიდათ, ისევ სამხრეთს მიაშურებენ, რა ბედი ეწევა ვოსკანოვს, ძნელი სათქმელია — მისი „ლუჩიდან“ ხომ იმდენი ფეხბურთელი წავიდა, ლამისაა გუნდი დაიშალოს. თუმცა, თუ ნოზაძის და გიორგობიანის საქციელით ვიმსჯელებთ, ასეც არ უნდა იყოს, რაკილა ისინი ვლადივოსტოკში ფულის გაჩენას და ვოსკანოვის დაბრუნებას ჯერაც ელიან.

# „იუვენტუსამდე“ კიევის „დინამოს“ ვიხილავთ

როგორც კიევის „დინამოს“ პრეს-ატაშემ ალექსეი სემიონენკომ განაცხადა, ყიფიანი და ლობანოვსკი შეთანხმდნენ, რომ 10 მარტს თბილისში ამხანაგურ მატჩს გამართავენ. კიეველები სათამაშოდ ჩამოსვლას ათშივე დილით აპირებენ და თბილისსაც იმავ დღეს დატოვებენ. დასანანია, რომ ეს თამაში კვლავაც შეიტანს კორექტივებს თბილისელთა სათასო კალენდარში, მაგრამ თასის გათამაშების ტერიტორიული პრინციპით ჩამტარებელთა გადამკიდეთ, ამ თამაშის ხილვას, ბუნებრივია, ისევ კიეველთა სტუმრობა გვიჯობს.

პირველი გვერდიდან უკვე შეიტყობდით დინამო ესენგეს თასის მეოთხედფინალიდან რომ გამოვარდა, მაგრამ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩის ჩვენი კორესპონდენტისეულ რეპორტაჟს მაინც გთავაზობთ.

მამუკა კვარაცხელია

მოსკოვიდან



## ესენგეს თასი

**დინამო 6:2 დინამო (დ)**

**დინამო:** ზოიძე (ლომაია 62), ზ. ჯულაძე, დ. მუჯირი (ასათიანი 62), კუდინოვი, კალაძე, ჩხაიძე (დავითნიძე 43), კეცბაია (გ. კვარაცხელია 46), ცქიტიშვილი (დიდავა 36), კერძევაძე (ზამთარაძე 46), ყიზილაშვილი, ხომერიკი (დემეტრაძე 46)

**გაფრთხილება:** ლომაია

1:0 კერძევაძე (14), 2:0 ცქიტიშვილი (15), 3:0 ხომერიკი (40), 4:0 კუდინოვი (45), 5:0 ყიზილაშვილი (57), 5:1 ხამიდოვი (66 პ), 6:1 კალაძე (75), 6:2 კამალდინოვი (88 პ)

ტაჯიკებთან თამაში აღარაფერს წყვეტდა, ამიტომაც ყიფიანმა ტურნირის მთავარი აღმოჩენა, როგორც მას აქ უწოდებენ, დემეტრაძე დაასვენა. მიუხედავად ამისა, დინამოელებმა უკვე მე-15 წუთისთვის თამაში მოათავეს. ერთ წუთში, ჯერ კერძევაძემ მე-14-ზე და მერე ცქიტიშვილმა ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანეს. ამით დამშვიდებულმა თბილისელებმა ტაიმის ბოლოსღა იხეირეს ხომერიკისა და კუდინოვის გოლებით. თამაშის განახლებისთანავე მუჯირმა 40-მეტრიანი პასით ყიზილაშვილი გაიყვანა საგოლე პოზიციაზე და მანაც ცაციით გადაუგდო მეკარეს. 5:0-ზე თბილისელები მოეშვნენ, მაგრამ შეცვლებზე შემოსულებმა გაიბრძოლეს, მათ შორის კვლავ გაიბრწყინა დემეტრაძემ, რომელსაც ტაჯიკთა ერთ-ერთმა მცველმა ერთ წუთში ოთხი „პადკატი“ გაუკეთა, მაგრამ დემე ოთხჯერვე გაუსხლტა. მიიღებდა თუ არა დემეტრაძე ბურთს, მეტოქეებში პანიკა და ერთი წიოკი ატყდებოდა ხოლმე. და მაინც, მეექვსე გოლის გატანა არა დემეტრაძემ, არამედ კალაძემ შეძლო, თუმცა მანამდე და მას შემდეგაც ტაჯიკებმა ორი გოლის გატანა შეძლეს ქართველთა კარში, ორივე თერთმეტმეტრიანით. ამაში ბრალი ჩვენს მცველებს მიუძღვოდათ. ვერც ზოიძემ და ვერც მისმა შემცვლელმა ლომაიამ პენალტის მოგერიება ვერ შეძლეს. მატჩის შემდეგ ყიფიანმა დაბალი შეფასება მისცა, მეოთხედფინალში გასული გუნდის მწვრთნელმა ისიც განაცხადა, „სკონტო“ მომეწონა, თანაც ძოძუაშვილმა კარგად იცის ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეებიო. გუშინვე „სკონტოს“ თავდამსხმელმა ჩალაძემ თქვა, შესაძლოა მიკროტრავმის გამო ვერც ვითამაშოო.



# ორნი კალიფორნიაში



ერთ ამერიკულ საფეხბურთო კოლეჯში, ლოს ანჯელესში, ყოფილი კიევის დინამოელი ანდრეი ხაპსალისი საქმიანობს. მან იქ სამუშაოდ მიიწვია ბავშვთა ფეხბურთის ქართველი სპეციალისტი კოტე დოლიძე, რომელიც „ვაკე-91“-ს ავარჯიშებდა. ბუნებრივია, საქართველოდან ნიჭიერ მოზარდთა წვევაც შესთავაზა და დოლიძემაც 35-სტუ-ს 19 წლის დათო დათუაძეს („პუჭურა“) და „მორკინალის“ 20 წლის ირაკლი ვაშაკიძეს („ბობიკა“) უხმო. პუჭურა და ბობიკა ამერიკას დეკემბერში გაემგზავრნენ. მათ ლოს ანჯელესის ახალგაზრდულ გუნდში დაიწყეს ვარჯიში და ოთხი საკონტროლო შეხვედრაც ითამაშეს. ხაპსალისი დათუაძეს გამთამაშებლად აყენებდა, ვაშაკიძეს კი ცენტრალურ მცველად. სან-დიეგოში 3 თამაში სხვადასხვა შტატის ახალგაზრდულ ნაკრებებთან გამართეს: ორი ფრედ დაასრულეს (0:0, 1:1), ერთიც მოიგეს 2:0.

ამ მატჩში ერთი გოლი დათუაძემ გაიტანა, ისევე როგორც მეოთხე შეხვედრაში, რომელიც კალიფორნიელებმა აშშ-ის ახალგაზრდულ ნაკრებთან ფრედ — 1:1 დაასრულეს. ბუნებრივია, ამ მატჩებს არაერთი ამერიკელი სელექციონერი ესწრებოდა. ჩვენებურები კალიფორნიელებში აშკარად გამოირჩეოდნენ და ეს სპეციალისტებს არ გამოჰპარვიათ. ყველაზე კარგი წინადადებით პუჭურას და ბობიკას თანაქალაქელთა გუნდის „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მწვრთნელმა შესთავაზა. შარშან ზაფხულს დასრულებულ ამერიკის ჩემპიონატში ამ კალიფორნიულმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. „გალაქსის“ მწვრთნელი ქართველებს ორწლიან კონტრაქტს და მშვენიერ პირობებს სთავაზობს. თუმცა, ჯერ ჩვენები ხაპსალისის რჩევით კონტრაქტზე ხელის მოწერისგან თავს იკავებენ. მათ კიდევ ორი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი და მწვრთნელს უთქვამს, დაიცადეთ, იქნებ უკეთესი წინადადებები შემოგთავაზონ, თუ არა, „გალაქსისთან“ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ, ერთი ჩემპიონატი ჩაამთავრეთ და შემდეგ ჩემი ევროპელი ნაცნობების წყალობით იქნებ რომელიმე იქაურ გუნდში გადაგიყვანოთო. ასეა თუ ისე, ჩვენებს იანკები ძლიერ დაუინტერესებიათ და ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან და თავისი ყოფილი გუნდებისგან სატრანსფერო თანხმობის ცნობას ითხოვენ.

## ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი №



### რეზო ძოძუაშვილი „სკონტოს“ მწვრთნელი

დაიბადა: 1945 წლის 10 აპრილს

1994 წლის ანდრო ჟორდანიას პრემიის ლაურეატი

**სამწვრთნელო კარიერა**

კლუბში: თბილისის სკა — 1976-77 წლები, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1977-78, ქუთაისის „ტორპედო“ — 1978-79 და 1987-89, ფიზკულტურის ინსტიტუტი — 1986-87, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი — 1990-91, თბილისის „დინამო“ — 1991-93, რუსთავის „გორდა“ — 1994-96, შეპეტოვკის „ტემპი“ (უკრაინა) — 1995-96

ნაკრებში: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — 1979-85 წლები (ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე)

**მონაგარი**

**„დინამო“**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 62 | 46 | 8 | 8 | 175:59 | 78,49 |
| შინ | 32 | 28 | 2 | 2 | 112:27 | 89,58 |
| გარეთ | 27 | 16 | 6 | 5 | 54:28 | 66,66 |
| ნეიტრალურზე | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 50 |
| ჩაეთვალა მ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | |

**საუკეთესო შედეგი**

ეროვნულ ჩემპიონატში: 1 ადგილი (1991-92, 1992-93)

საქართველოს თასზე: თასის მფლობელი (1992)

**„გორდა“**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 87 | 47 | 8 | 32 | 182:116 | 57,08 |
| შინ | 39 | 26 | 2 | 10 | 105:48 | 69,23 |
| გარეთ | 39 | 15 | 3 | 21 | 58:63 | 41,02 |
| ნეიტრალურზე | 6 | 4 | 2 | 0 | 13:2 | 77,77 |
| ჩაეთვალა მ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | |
| გამოუცხ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | |

**საუკეთესო შედეგი**

ეროვნულ ჩემპიონატში: V ადგილი

საქართველოს თასზე: წააგო ფინალში „დინამოსთან“ 0:1

**„ტემპი“**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 8 | 3 | 0 | 5 | 9:9 | 37,5 |
| შინ | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 50 |
| გარეთ | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგლა იმნაძე: შრომას მოწყურებული ვარ

ჩემპიონატი ახალდაწყებული იყო, გრიგოლეთში, „გურიას" საწვრთნელ ბაზაზე ლანჩხუთელთა მთავარ მწვრთნელს გიგლა იმნაძეს რომ შევხვდი. „გურიას" აწმყოსა და და წარსულზე ვისაუბრეთ და ცოტაც მომავალსაც გადავწვდით. სასიამოვნოდ მენიშნა გიგლა იმნაძის ოპტიმიზმი, წლევანდელ სეზონში „გურიას" უნდა ეშველოსო. ნაწილობრივ გაარემონტეს ბაზა, სტადიონი, ფინანსურადაც ნორმალურად ჰქონდათ საქმე, მაგრამ... ნელ-ნელა ყველაფერი უწინდებურად თავდაყირა დადგა. გუნდი შვიდმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, თავად გიგლა იმნაძე რევაზ ჩელებაძის მიწვევით რუსთავს წავიდა, და ლანჩხუთის „გურია" კვლავ უმწეოდ დარჩა.

ამ მოკლე პროლოგში შეგნებულად გავამახვილე ყურადღება „გურიაზე". ამჟამად „გორდას" მთავარ მწვრთნელს ყოფილ კლუბთან საერთო შეიძლება არაფერი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი საუბარი ძირითადად სწორედ ლანჩხუთის „გურიას" შეეხო, ან კი რაზე ვისაუბრებდით მაშინ, როცა გიგლა იმნაძეს ხელმძღვანელობით „გორდამ" ორჯერ ივარჯიშა...

— ლანჩხუთიდან ჩემს წამოსვლას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველყოვლისა, გუნდის ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა. აბა წარმოიდგინეთ, როგორია, თითქმის ნახევარი წელი უხელფასოდ, უპრემიოდ, ყოველგვარი დაინტერესების გარეშე იმუშაო. კი ბატონო — დავრჩებოდი გუნდში, მითუმეტეს, რომ გურია ჩემი მშობლიური კუთხეა, ჩემი საფეხბურთო კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ „გურიას" შევალიე, მაგრამ მე ოჯახი მყავს, ოჯახს კი რჩენა უნდა. ისეთ პირობებში, როგორიც ლანჩხუთში იყო, ეს შეუძლებელია. უმთავრესი კი ის არის, რომ არაფრის პერსპექტივა არ ჩანს. მომავლის იმედი რომ მქონოდა, იქიდან ნამდვილად არ წამოვიდოდი. ყველაფერ ამას ფეხბურთელთა თვითნებობაც დაერთო. იყო შემთხვევები, ვარჯიშებს შვიდ-რვა კაცისთვის ვატარებდი. ჰოდა, ისეთი თამაშები წავაგეთ, დიდი ანგარიშით რომ უნდა მოგვეგო. თუმცა, ამგვარი წარუმატებლობა მოსალოდნელიც იყო — მოუმზადებელი გუნდით რას მოიგებ. ეს ყოველივე ჩემი რეპუტაციის შელახვაც იყო. თავმოყვარე კაცი ვარ, თანაც შრომას მოწყურებული და „გორდაში" გადასვლა ვამჯობინე. რა ვიცი, რუსთავში კარგ სამუშაო პირობებს შემპირდნენ და იმედი მაქვს, ჩემს შესაძლებლობებს აქ უფრო გამოვავლენ.

**— კი მაგრამ, სეზონის დასაწყისში იმედიანად იყავით, „გურია" ძველ „გურიას" დაემსგავსებაო, ამბობდით. რა მოხდა? რატომ შეიცვალა ვითარება?**

— მაშინ მქონდა ოპტიმიზმის საფუძველი. ბაზა ნაწილობრივ გაგვირემონტეს, საცხოვრებელი კორპუსი ნორმალურ მდგომარეობაში იყო, სავარჯიშო მინდორსაც ვერ დაუწუნებდი ვერაფერს, მოწესრიგებული გვქონდა კვების საკითხიც და ახლაც შემიძლია იმის თქმა, რომ ნებისმიერ მწვრთნელს ლანჩხუთში გაცილებით გაუადვილდება მუშაობა, ვიდრე სხვაგან, თბილისის და ქუთაისის გარდა. მხედველობაში მაქვს საწვრთნელი ბაზა, ოღონდ ყოველმხრივ მოწესრიგებული, თუნდაც ისეთი, როგორიც ამ სეზონის დასაწყისში იყო. მართალია, რეგიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს გვპირდებოდა, სერიოზულად ფიქრობდნენ კარგი გუნდის შექმნას, მაგრამ რა მოხდა, ვისი ან რისი ბრალია შექმნილი ვითარება, ვერაფერს გეტყვით.

**— ერთი ხანობა ამბობდნენ, საქართველოს ნავთობის კორპორაციამ დახმარება აღუთქვა „გურიასო". არაფერი შეცვლილა?**

— როცა დაპირებებზე ვლაპარაკობდი, ესაც ვიგულისხმე. ჩვენთან, გრიგოლეთში თავად გიორგი ჭანტურიაც ბრძანდებოდა, იყვნენ უცხოელებიც, ადგილობრივი ხელმძღვანელები, რაღაცეებზე ითათბირეს და მეგონა, არიქა, საშველი დაგვადგა-მეთქი. თურმე შევმცდარვარ, მაგრამ ბოლომდე არა. დარწმუნებული ვარ, ერთ-ორ წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა, ესენი „გურიას" უპატრონოდ არ დატოვებენ.

**— ლანჩხუთელი კაცი მაინცდამაინც რუსთავში რატომ წახვედით?**

— საიდანაც მივიღე მიწვევა, იქ წავედი. ჩემთვის სულერთი იყო, რუსთავში ვიმუშავებდი თუ სხვაგან.

**— დასამალი არ არის, რევაზ ჩელებაძეს თქვენდამი დიდი სიმპათიები აქვს. ჯერ კიდევ „ბათუმში" გიწვევდათ...**

— ჩემს ზღვისპირელთა მწვრთნელად დანიშვნაზე მე და ჩელებაძემ მართლაც ვისაუბრეთ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ორ დღეში გაურკვეველი მიზეზების გამო რეზომ დატოვა კლუბი. ახლა კი „გორდას" მწვრთნელად მიმიწვია და სიამოვნებით დავყაბულდი ამ წინადადებას.

**— ცხადია, „გორდაზეც" უნდა ვთქვათ. მართალია, ჯერ მხოლოდ ორჯერ ავარჯიშეთ გუნდი, მაგრამ რაღაცის თქმას ახლაც შეძლებთ — ეს ბიჭები ხომ საქმეშიც გინახავთ.**

— „გურია" რუსთაველებს პირველი წრის მეორე ტურში შეხვდა ლანჩხუთში და 5:4 გავიმარჯვეთ. მას შემდეგ „გორდა" ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, ისინი გუნდის ბირთვს შეადგენდნენ. ახლა „გორდა", ფაქტიურად, სულ ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭებითაა დაკომპლექტებული და ამ სეზონში არა მგონია, რაიმე სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ. ჩვენი უპირველესი მიზანი პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იქნება. მომავალი სეზონიდან კი ცხადად გამოჩნდება, რისი მაქნისები ვართ. მეტს ვერაფერს გეტყვით. ზოგიერთ ფეხბურთელს ხეირიანად არც კი გავცნობივარ.

**— ფეხბურთელების შემატებას არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. რა თქმა უნდა, რამდენიმე მოთამაშეს დავიმატებთ, მაგრამ კანდიდატები ჯერ არ შემირჩევია. ზემოთ კი გითხარით გუნდის დაკომპლექტებაზე, მაგრამ ცოტა გადაჭარბებული მომივიდა — დღეს რომ იწყებოდეს ჩემპიონატის მეორე წრე, არც კი ვიცი, თერთმეტ კაცს მოვუყრი თუ არა თავს. პრაქტიკულად, როგორი სიტუაციაც ლანჩხუთში დავტოვე, იგივე რუსთავში დამხვდა. მხოლოდ ერთი განსხვავებით: ამჟამად აქ, რუსთავში, მეტი პერსპექტივაა. ჩელებაძემ სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს, ქალაქის მერიაც დაინტერესებულია კარგი, მებრძოლი გუნდის შექმნით და მათი დახმარებით შევიძენთ კიდეც ფეხბურთელებს. მართალია, ძვირადღირებული მოთამაშეების ყიდვის საშუალება არ გაგვაჩნია, მაგრამ იმდენს მაინც მოვახერხებთ, რომ 15 თებერვლამდე ახალი განაცხადი წარვუდგინოთ ფეხბურთის ფედერაციას.

**— ლანჩხუთიდან თქვენთან ერთად წამოსულ ფეხბურთელებს ხომ არ იწვევთ?**

— სიმართლე გითხრათ, მათი „გორდაში" მოწვევის დიდი სურვილი კი მაქვს, მაგრამ მათთან ამის თაობაზე არც კი მისაუბრია. ამ დღეებში კორღალიძეს და თევზაძეს შევხვდები და რუსთავში თამაშს შევთავაზებ. სხვა ფეხბურთელები კი, ვნახოთ... ბუცურეიშვილს და გოდერძიშვილს „მერანში" თამაში სურთ, ხოსროშვილს — „სიონში", მეკარე ვოლკოვი საერთოდ უგუნდოდ არის, თუმცა მისი „გორდაში" თამაშისა რა გითხრათ — ამჟამად გუნდში სამი მეკარე გვყავს.

**— მზადების დაწყება 20 იანვრისთვის გქონდათ დაგეგმილი...**

— შეკრების დაწყების თარიღი შეგნებულად გადავწიეთ 28 იანვრამდე. საქმე ის გახლავთ, რომ დროის ამ მონაკვეთში განზრახული იყო ბაზის რემონტი. პერსპექტივაშია ფეხბურთელთათვის სასადილოს მოწყობა, საცხოვრებელი კორპუსის შეკეთება და ეს ყველაფერი ამ დღეებში მოწესრიგდება. ჩვენც სერიოზულად შევუდგებით ჩემპიონატისთვის მზადებას. აქამდე არც ბურთები გვქონდა, არც სავარჯიშოდ აუცილებელი სხვა ინვენტარი და რა აზრი ექნებოდა ასეთ პირობებში მზადების დაწყებას?

**— უცხოეთში თუ აპირებთ შეკრების მოწყობას?**

— არა. აჯობებს რუსთავში მოვემზადოთ და ის თანხა, რომელიც უცხოური შეკრებისთვის უნდა დავხარჯოთ, შევინახოთ, ფეხბურთელებს, ბაზის აღდგენას მოვახმაროთ და ასე ვთქვათ, სამომავლო გეგმებისთვის მყარი ფინანსური საფუძველი შევქმნათ.

**— დღევანდელი „გორდათი" შეუძლებლად მიგაჩნიათ ევროტურნირების საგზურის მოპოვება?**

— ჩემი აზრით, ეს უფრო უტოპიას წააგავს, ამ გუნდით ეს შეუძლებელია. მეორე წრის მანძილზე დაგეგმილი მაქვს რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტის დამუშავება, უკეთ მინდა ფეხბურთელების შესაძლებლობებში გარკვევა. შევხედავ, ვინ რისი მაქნისია და ამის მიხედვით გარკვეულ კორექტივებს შევიტან გუნდის თამაშში.

**— იასონ ალადაშვილი ამჟამად რას საქმიანობს?**

— მე და იასონი ისე შევთანხმდით, რომ ორივე ერთად ვუხელმძღვანელებდით „გორდას", თუმცა ამ საქმეში ოდნავი პრივილეგია ჩემსკენ იქნება.

**კობა ინასარიძე**



# გიზო ჯელაძეს დინამოს სოკოლი ურჩევნია

ბულგარელების ახალგაზრდულ ნაკრებთან კარგად თამაშის შემდეგ გულშემატკივრები გიზო ჯელაძეზე ალაპარაკდნენ. მაშინ გიზო „შევარდენში" თამაშობდა და სპეციალისტები უფრო იცნობდნენ. ნაკრებში ჭეიშვილმა სწორედ „შევარდენში" კარგად თამაშის გამო მიიწვია. ამ მიწვევას „დინამოს" ხელმძღვანელთა წინადადებაც მოჰყვა. შეიძლება გახსოვთ კიდეც ამ გადასვლის პერიპეტიები — „დინამოში" თამაშის უფლება რომ დაერთოთ, პატარა ჯელაძე „დინამო-2"-ში ჩარიცხეს. თუმცა, გიზოს ჯერ კიდევ „შევარდენში" მიღებულმა ტრავმამ გაახსენა თავი და ისე წაუვიდა საქმე, სათადარიგოთა სკამზეც ვერ ხვდებოდა. ეს ამბავი, ბუნებრივია, სხვა გუნდების მწვრთნელებმაც იცოდნენ და ჯელაძის გადასვლაზე დაყოლიებას ეცადნენ. განსაკუთრებით ქუთაისელები აქტიურობდნენ. სწორედ ამ პერიოდში — დეკემბერ-იანვარში, „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა გუნდის დატოვების და კარიერის უცხოეთში გაგრძელების სურვილი გამოთქვა. ჯელაძეს ძირითადში მოხვედრის შანსი გაუჩნდა, თუმცა კი მაინც ქუთაისში წასვლა სურდა. „დინამო" „ტორპედოს" ჯელაძის გადასვლის პირობებზე ვერ შეუთანხმდა, ამ დროს კი გიზოს მოულოდნელად ახალი ვარიანტი შესთავაზეს — რუსეთის ჩემპიონატის I ლიგის სარატოვის „სოკოლ-პჟდ"-ში მოთამაშე გიგა გადელიას პირით მიწვევა შემოუთვალეს. იანვრის დამდეგს ჯელაძე მასსავით დინამოელ ზვიად ხორგუაშვილთან ერთად მოსკოვში შეკრებაზე მყოფ სარატოველებს შეუერთდა. სარატოველებმა ორივე გასინჯეს და უყოყმანოდ დაიტოვეს ქართველები.

ოჯახური საქმეების გამო ორიოდე დღით ჩამოსულ გიზოსთან საუბარი იმ კითხვით დავიწყე, რომელიც, ვფიქრობ, უმნიშვნელო არ არის: რატომ ამჯობინა ჯელაძემ რუსეთის I ლიგის გუნდი „დინამოს", სადაც შემადგენლობაში მოხვედრის და ჩემპიონთა თასზე თამაშის შანსი უჩნდებოდა?

ვიგრძენი, გიზომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

— სარატოველთა წინადადების თაობაზე „დინამოს" ხელმძღვანელობას ვაცნობე. მათგან წინააღმდეგობა არ ყოფილა და „სოკოლში" გადავედი. მეც, სიმართლე რომ ვთქვა, რუსეთში თამაში მერჩივნა. აქ მაინც შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი, ასე კლასს ვერ ავიმაღლებდი, სარატოვში კი ამის საშუალება მეძლეოდა.

**— მაინც არ მიპასუხე. დავიჯერო, ჩემპიონთა თასზე თამაშის შანსს რუსეთის I ლიგაში თამაში გიჯობდა? ეს ხომ გამორიცხულია...**

— სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ძირითადში ვერ ვხვდებოდი. თანაც ტრავმის შემდეგ უთამაშებლად მწყობრში ვერ ჩავდექი. მე კი თამაში მსურდა. ამიტომაც სარატოველთა ვარიანტი მისაღებად მივიჩნიე.

**— შენს ადგილზე ბევრს „დინამოს" ძირითადში მოხვედრის აზარტი გაუჩნდებოდა.**

— რა გითხრა, შეიძლება ასეც უნდა იყოს. მაგრამ რუსეთში უფრო მეტ პერსპექტივას ვხედავ. თანაც გუნდიც ნორმალურია. შარშან პირველ ლიგაში მერვე ადგილი დაიკავეს, წელს კი უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე ფიქრობენ და ამიტომაც გაძლიერდნენ ორი ლიტვის და ერთიც ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრებების წევრებით. ამათ გარდა ერთი უკრაინელიც მიიწვიეს. მოკლედ, ახალი სეზონისთვის „სოკოლი" მნიშვნელოვნად განახლდა და გაძლიერდა.

**— როგორც ვიცი, ორი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარეთ — „სპარტაკი-2"-თან და ცსკა-2-თან...**

— მე და ხორგუაშვილი მეორე ტაიმში გაგვიყვანეს მოედანზე, ზვიადმა ტაიმის ბოლომდე ითამაშა და გოლიც გაიტანა, მე კი 15 წუთში დამასვენეს.

**— რატომ ასე მალე?**

— როგორც ვხვდები და მითხრეს კიდეც, ვარჯიშებზე დაკვირვებით ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დარჩათ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, თამაში წამივიდა, ამიტომ ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი აღარ ეპარებათ და შემცვალეს, რადგან ბევრი მოთამაშე ჰყავდათ გასასინჯი, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ შემომთავაზეს ორწლიანი კონტრაქტი, ისევე, როგორც ხორგუაშვილს. ამ მატჩს სხვა გუნდების სელექციონერებიც ესწრებოდნენ და სარატოველებს არ სურდათ, რომ მათ ვენახე — მაშინ ხომ „სოკოლთან" კონტრაქტი ჯერ არ მქონდა გაფორმებული.

**— მახსოვს, ინგლისის ახალგაზრდულთანაც სულ თხუთმეტი წუთი გათამაშეს, რაზეც გუცაევთან მცირე უსიამოვნებაც გქონდა...**

— ეს ცხელ გულზე მომივიდა, რაიმე სერიოზული კონფლიქტი არ მომხდარა. ახლა გუცაევთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, ისეთი, როგორც უნდა ჰქონდეს მოთამაშეს მწვრთნელთან.

**— „სოკოლი" სად აპირებს შეკრების მოწყობას?**

— 2 თებერვალს ორკვირიან შეკრებაზე გერმანიაში გავემგზავრებით, შემდეგ კი კვიპროსზე ბოლო შეკრება სოჭში გვექნება.

**— შენ ერთი წელი, ფაქტობრივად, გაგიცდა. ეს, ბუნებრივია, დაეტყობოდა შენს თამაშს...**

— დაეტყო, როგორ არ დაეტყო, მაგრამ „დინამოსთან" ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი და ამან „სოკოლში" ადაპტაცია გამიადვილა. რა თქმა უნდა, პრაქტიკის უქონლობა ვერ არის კარგი საქმე, მაგრამ ახლა, მოსამზადებელ პერიოდში ყველა ერთ პირობებში ვართ და მეც არ უნდა გამიჭირდეს.

**— სარატოველები როგორი სისტემით თამაშობენ?**

— ტრადიციული 4-4-2-ით.

**— ეს შენთვის, ალბათ, 3-5-2-ზე უკეთესი უნდა იყოს — ასეთ შემთხვევაში ფლანგი მთლიანად უნდა გეკონტროლებინა, შენზე კი ვერ ვიტყვი, რომ დაცვაში თამაში გსიამოვნებდეს...**

— მართალია, ამიტომ სარატოვში, ვფიქრობ, ენერგიას უფრო სწორად გავანაწილებ. ჩემს უკან მარჯვენა მცველია, მე კი ძალას ძირითადად იერიშს ვახმარ. შეტევა ჩემი სტიქიაა. გუნდში ჩემთვის სასურველ — მარჯვენა ნახევარმცველად მათამაშებენ.

**— ხორგუაშვილს და გადელიას?**

— ხორგუაშვილს თავდასხმაში აყენებენ, გიგას კი ხან ზვიადს უწყვილებენ „სოკოლის" მწვრთნელი კისელიოვი, ხანაც გამთამაშებლობას აკისრებს.

**— სხვა ქართველების მიწვევაც ხომ არ სურთ?**

— ვიცი, რომ სურთ, მაგრამ არ ვიცი, კონკრეტულად ვინ უნდათ.

**— დატვირთვებს თუ უძლებთ?**

— ამ მხრივ პრობლემა არ შეგვქმნია. „დინამოშიც" არანაკლებად ვიტვირთებოდით, განსაკუთრებით უეფას თასისთვის მზადებისას. ამის შემდეგ „სოკოლში" ვარჯიში არ გამჭირვებია.

**— მოკლედ, „დინამოდან" წასვლას არ ნანობ...**

— სიმართლე რომ ვთქვა, ასეა. არა მგონია, სარატოვში წასვლა ჩემთვის უკანგადადგმული ნაბიჯი იყოს. პირიქით, ვფიქრობ, რუსეთიდან ევროპაში გადასვლის უფრო რეალური შანსი გამიჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



ბელგიის ნაკრების ყოფილი წევრი რენე ვანდერეიკენი სამშაბათს ოფიციალურად დაასახელეს ბრიუსელის „ანდერლეხტის" მომავალ მწვრთნელად. სეზონის ბოლოს იგი შეცვლის კლუბის ახლანდელ მწვრთნელს ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს. 43 წლის ვანდერეიკენი ახლა „მოლენბეკს" ხელმძღვანელობს. ფეხბურთელობისას მან ბელგიის ნაკრებში 50-ჯერ ითამაშა, ექვსჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ორჯერ კი თასი მოიგო.

ფრანგი რეინალდ პედროსი მარსელის „ოლიმპიკიდან" იტალიურ „პარმაში" გადავიდა. იტალიელებს პედროსის შესყიდვა 3 მილიონ 600 ათასი დოლარი დაუჯდათ. მოთამაშემ კლუბთან სამწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. პედროსი „ოლიმპიკში" 1995 წელს გადავიდა „ნანტიდან". საფრანგეთის ნაკრებში მან 25-ჯერ ითამაშა, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, ჩეხების წინააღმდეგ, პენალტების სერიაში დარტყმა გააცუდა და თავისიანები ფინალს მიღმა დატოვა. პედროსი „პარმას" მესამე ფრანგია დანიელ ბრავოსა და ლილიან ტურამის შემდეგ.

ჰოლანდიის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა ეინდჰოვენის პსვ-მ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბელგიის ნაკრების ფორვარდ ჟილ დე ბილდესთან. ბრიუსელის „ანდერლეხტის" 25 წლის თავდამსხმელი ახალ კლუბში მხოლოდ 31 მარტის შემდეგ შეძლებს თამაშს. დე ბილდეს დისკვალიფიკაციის გამო აპრილამდე თამაში ეკრძალება.

ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ უელსთან 11 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში დააბრუნა „დერბი ქაუნთის" პოლ მაკგრათი და ლიდსელი გარი კელი. მაკგრათი ქვეყნის რეკორდსმენია ნაკრებში ჩატარებული მატჩების ოდენობით. მან ბოლო, 82-ე შეხვედრა შარშან აპრილში ჩეხეთის წინააღმდეგ ჩაატარა, კელიმ კი ბოლოს ნაკრებში შარშანწინ ითამაშა. ნაკრების ნახევარმცველი ენდი თაუნსენდი „დერბი ქაუნთისთან" შაბათის სათასო მატჩში დაშავდა და „შეფილდ უენსდეისთან" ჩემპიონატის მატჩს გამოტოვებს. იგი „ასტონ ვილას" მეოთხე ფეხბურთელია მარკ დრეიპერის, იან ტეილორის და ტომი ჯონსონის შემდეგ, ვისაც იძულებით მოუწევს დასვენება.

იტალიის „იუვენტუსმა" სთხოვა უეფას, 5 თებერვლის სუპერთასის საპასუხო შეხვედრა „პარი სენ-ჟერმენთან" ტურინის მაგივრად პალერმოში გაიმართოს. იტალიელებმა მიზეზად თქვეს, პარიზში 6:1 გამარჯვების შემდეგ ტურინის „დელე ალპიზე" ცოტა მაყურებელი მოვა, პალერმოს „ლა ფავორიტას" 40-ათასიანი სტადიონი კი გაივსებაო. უეფაში ჯერ განაცხადეს, ფრანგულ კლუბს დავეკითხებით და პასუხსაც მერე გაცნობებთო. მოგვიანებით უეფამ იტალიელებს აცნობა, რომ „სენ-ჟერმენი" თანახმაა, ტურინის მაგივრად პალერმოში ითამაშოს. ფრანგული კლუბის დირექტორმა ჟან ფრენსის დომერგიმ განაცხადა, მეორე მატჩი მაინც არაფერს წყვეტს და გადაწყვეტეთ სიცილიელები გავახაროთო. „იუვენტუსი" მზადაა, ფრანგებს კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა გადაუხადოს.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ბირმინგემის" ცენტრალური მცველი გარი ბრინი შესაძლოა ორნახევარ მილიონ გირვანქად პრემიერლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ქოვენთრიში" გადავიდეს. იგი ალბათ სხვადასხვა ტრავმათა გამო სეზონის ბოლომდე მწყობრიდან გამოსულ თანამემამულე ლიამ დეიშს შეცვლის. 23 წლის ბრინმა ნაკრებში ცხრაჯერ ითამაშა და ახლაც 11 თებერვალს უელსთან სათამაშოდ კვლავ დაუძახეს.

ნიგერიის ნაკრების ახალ მწვრთნელად დაინიშნა მანდი სინქლერი. მან შეცვალა ფედერაციის მიერ გადაყენებული შუკბუ ამოდუ. ახალ მწვრთნელს 60-იან წლებში ნაკრებშიც უთამაშია. სინქლერი ბრაზილიური ფეხბურთის მოტრფიალეა. ადრე იგი რამდენიმე ნიგერიულ კლუბს თავკაცობდა, 1991 წელს კი ქაიროში გამართულ აფრიკის ჩემპიონატში ხელმძღვანელობდა ნიგერიის 23 წლამდელთა ნაკრებს.

გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ შესაძლოა კარიერა აშშ-ში დაასრულოს. მისი კონტრაქტი „ბაიერნთან" 1998 წელს იწურება, თუმცა მათეუსმა კლუბის ნაადრევად დატოვება განიზრახა. მისი კონფლიქტი იურგენ კლინსმანთან კი დასრულდა, მაგრამ მათი ურთიერთობა უწინდელი აღარაა. ლოთარის თქმით, აშშ-ში კარიერის დასრულების შემდეგ შესაძლოა მწვრთნელობა დაიწყოს.

იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე დინო ძოფი სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს სერია A-ში მე-12 ადგილზე მყოფ დედაქალაქის „ლაციოს". კლუბის მწვრთნელ ზდენეკ ზემანს ცუდი შედეგების გამო თანამდებობა დაატოვებინეს. კლუბის მეპატრონემ სერჯო კრანიოტიმ სთხოვა ძოფს, სეზონის ბოლომდე გუნდი სახიფათო ზონას გაარიდეო. დღესდღეობით დინო ძოფი ოფი-



ზდენეკ ზემანი დაითხოვეს

ციალურად „ლაციოს" პრეზიდენტი, მწვრთნელი და მეკარეების მწვრთნელია. იგი 1990-94 წლებში უკვე ხელმძღვანელობდა „ლაციოს", 1986 წლიდან კი ორი წლით იტალიის ოლიმპიურ გუნდს ედგა სათავეში.

შოტლანდიაში მავანმა ტოტალიზატორში 475 ათასი დოლარი მოიგო. მან 17 დოლარი დადო 13 მატჩის შედეგის გამოცნობაზე, 12 გამოიცნო, ბოლოს კი ორი დღე მოუხდა ცდა, სანამ მისი პროგნოზი „რეით როვერს" — „ეირდრიენიანსის" 4:1 შედეგს დაემთხვეოდა.

პორტუგალიის „ბოავიშტა" უეფამ 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა გულშემატკივრების სტადიონზე შეუმოწმებლად შეშვების გამო. მილანის „ინტერთან" საპასუხო საშინაო მატჩში პორტუგალიელმა გულშემატკივრებმა მონეტები ესროლეს მატჩის კომისარს. 21 ათასი დოლარით უეფასგან დაჯარიმდნენ „მილანი" და „პარი სენ-ჟერმენი", რადგან ევროტურნირების მატჩებზე გულშემატკივრებმა მაშხალების მოედანზე სროლა იწყეს.

ინგლისელი როი ჰოჯსონი, ვინაც მილანის „ინტერს" ხელმძღვანელობს, უკმაყოფილოა გულშემატკივართა გამოხდომებით და მათ ეთიკის ნორმების დაცვა სთხოვა. რამდენიმე დღის წინ ბაზაზე მისულმა ჰოჯსონმა დიდი პლაკატი შენიშნა წარწერით „ჰოჯსონ, წაეთრიე შინ!" ამან ინგლისელი განარისხა. ბოლო ორ საშინაო მატჩში „ინტერი" ჯერ „ბოლონიასთან" დამარცხდა, შემდეგ 1:1 ითამაშა „უდინეზესთან", შედეგად კი მეორედან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ბელგიელი რეჯი ჟენო „ქოვენთრიდან" „უდინეზეში" გადავიდა. 23 წლის ჟენო პრემიერლიგის კლუბში სეზონის დასაწყისში მივიდა ლიეჟის „სტანდარდიდან", ახლა კი 800 ათას გირვანქად იტალიაში გადაბარგდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ მან შესაძლოა კვირასვე ითამაშოს „ინტერის" წინააღმდეგ. მის მაგივრად „ქოვენთრიმ" დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან" უკრაინელი ალექსანდრ ევტუშოკი შეიძინა.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გააფრთხილა „ვესტ ჰემი", რომ თუ გუნდის გულშემატკივრები კვლავაც ძველებურად უდიერად მოიქცევიან, კლუბი საკმაოდ სოლიდური თანხით დაჯარიმდება. გაფრთხილება ეხებათ ამ გუნდის მოთამაშეებსაც, რომლებიც პრემიერლიგისა თუ თასის გათამაშების ბოლო მატჩებში საკმაოდ ხშირად ჯარიმდებიან წითელ-ყვითელი ბარათებით. ბოლო სათასო მატჩში, რომელშიც „ვესტ ჰემი" შინ დამარცხდა მეორედივიზიონელ „რექსჰემთან", მაყურებლები ამ სეზონში უკვე მეორედ გავარდნენ მოედანზე და თამაშის გაგრძელება საეჭვო გახადეს.

საფრანგეთის ნაკრების მცველი ბრუნო ნგოტი ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მონაკოსთან" 0:2 წაგებულ მატჩში დაშავდა და „პარი სენ-ჟერმენს" დაახლოებით ერთი თვე გამოაკლდება. კლუბის ექიმების ცნობით, ნგოტის ოპერაცია დასჭირდება.

თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველმა ქემალეთინმა მსაჯი შეურაცხყო. ფედერაციამ მოთამაშე გვარიანი თანხით კი დააჯარიმა, მაგრამ „ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტმა ალი შენმა ქემალეთინს თავის მხრივ 4 300-დოლარიანი ჯარიმა დააკისრა. „ფენერბაჰჩეს" ფეხბურთელი ასეთ საქციელს არ უნდა კადრულობდესო — განაცხადა ალი შენმა.

რუსული ფეხბურთის გაუგებრობას — ორი ცესკას ამბავს, ეტყობა, ნელ-ნელა ბოლო ელება. მოქიშპეთაგან ერთ-ერთი, ალექსანდრ ტარხანოვი მოსკოვის „ტორპედოში" გადავიდა. ცესკას სპორტის შეფმა ბარანოვსკიმ ამის თაობაზე განაცხადა — მიხვდა ტარხანოვი, რომ ჩვენთან ვერაფერს გახდებოდა და წასვლა ამჯობინაო. „ტორპედოს" ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ვლადიმირ პილგუიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბის აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი გუნდში სხვა თანამდებობაზე გადავიდა, ტარხანოვი კი მის ნაცვლად დაინიშნა.

ფრანგი ერიკ კანტონა დისკვალიფიცირებულია ორი მატჩით. ბოლო შეხვედრაში „უიმბლდონთან" მან გაფრთხილება მიიღო და საჯარიმო ქულების დაშვებულ ნორმას გადააჭარბა. იგი 19 თებერვალს ვერ ითამაშებს „არსენალთან" მეტად პრინციპულ მატჩში, არ არის გამორიცხული, გამოტოვოს თასის გათამაშების მეხუთე წრის მატჩიც „ქუინზ პარკთან". აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც კანტონამ ერთ-ერთი გულშემატკივრის წიხლით გალახვისთვის რვათვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, აღარ უხეშობს და ეს სასჯელიც მისთვის პირველია ბოლო ორ წელიწადში.

შოტლანდიის ბოლო რვა წლის უცვლელმა ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა" აქციების 25 პროცენტი 40 მილიონ დოლარად გაყიდა. ინვესტორმა, ინგლისში დაბადებულმა ჯო ლუისმა საქმეში კიდევ ორი ბიზნესმენის ჩართვა გადაწყვიტა, კლუბის თავმჯდომარემ დეივიდ მურეიმ განაცხადა, რომ შეტანილი თანხა მოხმარდება კლუბის სასტუმროს, სტადიონის და სავარჯიშო მინდვრების რეკონსტრუქცია-განახლებას. მანვე თქვა, რომ გადაწყვეტილი აქვს, მდიდარი საქმოსნების დახმარებით „რეინჯერსი" კიდევ უფრო გააძლიეროს და მსოფლიოს საუკეთესო კლუბად აქციოს.

ესპანეთის თასის გათამაშების მეოთხე წრეში, ლა კორუნიაში „დეპორტივომ" სამშაბათს „ესპანიოლს" უმასპინძლა და 2:2 ითამაშა. აღსანიშნავია, რომ მიგელ ანხელ ბენიტესისა და ფლორინ რადუჩოუს გოლებით თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოში „დეპორტივო" გამოცოცხლდა და მაიკელისა და რივალდოს გოლებით გაათანაბრა.

რუმინეთის ნაკრებისა და ციურიხის „გრასჰოპერის" ფორვარდი ვიორელ მოლდოვანი შესაძლოა ბუნდესლიგის „კიოლნში" გადავიდეს. 24 წლის თავდამსხმელს შვეიცარიულ კლუბთან კონტრაქტი 1999 წლამდე აქვს დადებული, მაგრამ დიდი შანსია, დროზე ადრე დატოვოს „გრასჰოპერი". მოლდოვანის ახლანდელი კლუბი მის სანაცვლოდ ორნახევარ მილიონ დოლარს ითხოვს. შარშანდელ სეზონში იგი შვეიცარიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. თუ გარიგება შედგა, „კიოლნში" იგი თანამემამულეებს — იან ვლადოიუს და დორინელ მუნტეანუს შეუერთდება.

პორტუგალიის ჩემპიონატის მე-17 ტურის ბოლო მატჩში „ჟილ ვისენტე" შინ „პორტუსთან" 0:3 დამარცხდა.

## სასამართლოს დარბაზიდან — 6

ვინჩესტერის სამეფო სასამართლოს მორიგ სხდომაზე, ოთხ ბრალდებულს შორის ყველაზე პოპულარული, ზიმბაბველი ბრიუს გრობელაარი „დასვენეს" და „ასტონ ვილას" ყოფილი მოთამაშის ჯონ ფაშანუს საქმიანობის განხილვას შეუდგნენ. ფაშანუს, შეგახსენებთ, ბრალად ედება მექრთამეობაში ეჭვმიტანილ მეკარეთათვის, გრობელაარისა და ჰოლანდიელი ჰანს სეგერსისთვის ფულის გადაცემა. მეოთხე ბრალდებულია მალაიზიელი ჰენგ სუან ლიმი, რომელიც შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატის ლონდონელ წარმომადგენლობაშია დადანაშაულებული. დანაშაულს ოთხივე უარყოფს.

სხდომაზე სასამართლომ გამოიძახა „ასტონ ვილას" მდივანი სტივენ სტრაიდი. სტრაიდმა დამსწრეთ მოუთხრო 1995 წლის აგვისტოში, კლუბის კრებაზე ჯონ ფაშანუს ნალაპარაკების შინაარსი. იმ დროისთვის ფაშანუს, ტრავმის გამო, ფეხბურთისთვის თავი ექვსი თვის დანებებული ჰქონდა.

— ჯონმა მაშინ ყოველგვარი ბრალდება უარყო. თქვა, რომ აბსოლუტურად უდანაშაულოა — განაცხადა მდივანმა — გვითხრა, რომ მას პირში წყლის ჩაგუბება და პოლიციისთვის არაფრის თქმა ურჩიეს, მაგრამ ყურად არ იღო. ფაშანუმ ჩათვალა, რომ გაჩუმება სამარცხვინო იქნებოდა, რადგან საკუთარი თავის დაცვა შეეძლო.

სტრაიდის თქმით, ფეხბურთელმა უარყო, რომ ჰანს სეგერსს ბანკში ახლდა, როდესაც ჰოლანდიელმა 19 ათასი გირვანქა (30 400 დოლარი) შეიტანა თავის ანგარიშზე.

— ფაშანუმ განმარტა, რომ მან ვარჯიშის შემდეგ სეგერსი მანქანაში მხოლოდ იმიტომ ჩაისვა, რომ გზად ბანკთან უნდა გაევლო, სადაც მან მეკარე ჩამოსვა.

ნაფიც მსაჯულთა წინაშე წარდგა „ასტონ ვილას" ავსტრალიელი გოლკიპერი მარკ ბოზნიჩიც. მისი თქმით, 1994 წელს, „უიმბლდონიდან" „ვილაში" გადასვლის შემდეგ, ექვსი თუ რვა თვის განმავლობაში ფაშანუ მასთან ცხოვრობდა და ამ ხნის განმავლობაში ისინი მეტად დაძმობილდნენ. როდესაც მეკარეს ჰკითხეს მის მიერ ფაშანუსთვის გაგზავნილი ერთი ფაქსის ძესახებ, რომელშიც მეგობარს დიდ კაცად იხსენიებს, ბოზნიჩმა უპასუხა: „მისი ზომა-წონის პატრონი, დიახაც დიდია".

ფაშანუს ვექილმა ტრევორ ბარკმა ავსტრალიელს სხვა ფაქსზეც ჩამოუგდო სიტყვა. თითქოს, საყვარელთან ერთად ინდონეზიის უცნობილეს კურორტ ბალიზე ყოფნისას, მას ფაშანუსთვის მიპატიჟების წერილი გაეგზავნოს, რომელშიც ადრესატს ჩემო ძვირფასოთი მიმართავს. დარბაზს სიცილის ტალღამ გადაუარა, ბოზნიჩმა კი განაცხადა, ამ ფაქსის შესახებ არაფერი ვიციო.

მალაიზიელი ბიზნესმენის, ბრალდებულ ჰენგ სუან ლიმის შესახებ „ვილას" მეკარემ თქვა, რომ იცნობდა, ოლონდ რიჩარდის სახელით. ბოზნიჩს იგი თურმე საფეხბურთო სალახანად მიაჩნდა, ჯონ ფაშანუსგან კი ბევრი საჭირო რჩევა მოუსმენია და გამოდგომია კიდეც.

ბოზნიჩს ჰკითხეს, ფაშანუს ქრთამის საფასურად გოლების გაშვება ხომ არ შემოუთავაზებიაო.

— არასდროს. ვფიქრობ მეკარისთვის ასეთის შეთავაზება აბსურდია — იყო პასუხი.

სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა ოფიციალური შემოსავლის ანალიზი. აღმოჩნდა, რომ თუკი ბრიუს გრობელაარს 1991-92 წლებში „ლივერპულში" სიდიდით მერვე ხელფასი ჰქონდა, 1993-94 წლებში იგი მეცამეტემდე დაეცა. უდიდესი შემოსავალი კი 162 ათასი გირვანქა ჰქონია.

ფაშანუს უდიდესი შემოსავალი ყოფილა 200 ათასი გირვანქა (320 ათასი დოლარი), სეგერსისა კი — 87 ათასი გირვანქა (140 ათასი დოლარი).

ბუღალტერ ჰარალდ უილკისს სეგერსის შემოსავლის ანალიზი ჰქონდა საგანგებოდ დავალებული. მან შეისწავლა მეკარის ყველანაირი საქმიანობა და დაასკვნა, რომ მისი ნამატი, ოფიციალური გზით, შეუძლებელია 104 ათასი გირვანქა (165 ათასი დოლარი) ყოფილიყო. არადა სწორედ ასეთი თანხა შეიტანა ჰოლანდიელმა ნიუ-იორკის რესპუბლიკური ეროვნული ბანკის ლონდონურ ფილიალში.

სასამართლო გრძელდება

**გიგა კობახიძე**



## ინგლისში ტრავმების ვირუსია

12 თებერვალს „უემბლიზე" დიდი მატჩია. ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იტალიას მასპინძლობს. ამ ჩვენს ჯგუფელ მეტოქეებს ქულათა მაქსიმუმი აქვთ მოპოვებული და არც ახლა აპირებენ რაიმეს დათმობას. იტალიას ახალი მწვრთნელი ჰყავს, ინგლისელებს კი მწვრთნელის შესაცვლელად ჯერ საქმე არ მისდგომიათ. ეგაა, 12 თებერვალს ალბიონელები გარკვეულწილად შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზებენ, რადგან ჰოდლს ტრავმების გამო ნელ-ნელა ხელიდან ეცლება ძირითადი მოთამაშეები.

27 იანვარს დაშავდა ფორვარდი ტედი შერინგემი, უფრო სწორად, ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. სამი კვირის წინ ჩემპიონატის მატჩში მან კოჭი დაიზიანა, იმკურნალა, ორშაბათს კი „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიში განაახლა და... ეტყობა, შერინგემს ნატკენი ჯერაც არ მოშუშებოდა, საშინელმა ტკივილმა ვარჯიში შეაწყვეტინა. მოგვიანებით გაირკვა, რომ შერინგემს მკურნალობის ახალი კურსი სჭირდებოდა, ანუ იტალიასთან ვერ ითამაშებდა. „ტოტენჰემის" მწვრთნელმა ჯერი ფრენსისმა განაცხადა, ტედის ტრავმამ მთელი ინგლისი დაამწუხრა და ჩვენ რაღა დღეში ვიქნებითო.

შერინგემი მეოთხე ფეხბურთელია, ვისაც გლენ ჰოდლი ალბათ ვერ გამოიძახებს. მანამდე ტრავმების გამო გამოაკლდნენ დევიდ პლატი, ფილიპ ნევილი და ენდი ჰინჩკლიფი. თითქოს არ ეყოფოდაო, ტრავმა მიიღო გაზამაც.

დიახ, შესაძლოა, პოლ გესქოინმაც ვერ ითამაშოს იტალიელების წინააღმდეგ. ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთ მატჩში, რომელშიც „რეინჯერსი" „აიაქსს" ხვდებოდა, გაზამ კოჭი დაიშავა — ერთ-ერთ მომენტში იგი „აიაქსის" მეკარე ედვინ ვან დერ საარს დაეჯახა. ორშაბათ საღამოს „რეინჯერსის" ლიდერი გლაზგოში დააბრუნეს. მას სასწრაფოდ გადაუღეს რენტგენის სურათი, რომელმაც მოსპო ეჭვები კოჭის მოტეხვის თაობაზე. გლენ ჰოდლი სამშაბათს დაუკავშირდა ფეხბურთელსაც და „რეინჯერსსაც". მოგვიანებით მან კიდევ დარეკა გლაზგოში. „ძალიან უსიამოვნო ამბავი მოხდა. გაზას ყველა გამოჯანმრთელებას და იტალიელებთან თამაშს კი ვუსურვებთ, მაგრამ მის გამობერილ კოჭს რომ ნახავ, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეგიპყრობს" — განაცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა დევიდ დევისმა ჟურნალისტებთან საგანგებო შეხვედრისას. ჯერჯერობით უცნობია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ჰოდლს უმძიმესი მატჩი ელის.

ამდენი დანაკლისის მერე შეუძლებელია, სასიხარულო ამბავიც არ მომხდარიყო და რამდენიმე დღის წინ ჰოდლს აცნობეს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა ვარჯიში განაახლაო. კლუბის მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის განცხადებით, არის შანსი, ბექჰემმა ამ დღეებშივე ითამაშოს.

ბრიტანული გაზეთები კი ვარაუდობენ, რომ გესქოინის არყოფნის შემთხვევაში შესაძლოა ნაკრებში საუთჰემპტონელი მეტიუ ლე ტისიე დააბრუნონ.

12 თებერვალი შორს აღარაა...

**ლაშა გოდუაძე**

## ფეხბურთი

# ამსტერდამული ექვსკაცა

ამსტერდამში საოცარი ტურნირი გაიმართა. „აიაქსის“ ახალ სტადიონზე შემცირებული ზომის მოედანზე. ექვსკაციან ფეხბურთში ერთმანეთს შეებრძოლნენ „აიაქსი“, „მილანი“, „ლივერპული“ და „გლაზგო რეინჯერსი“. შეცვლათა რაოდენობა შეუზღუდავი იყო, თითოეული შეხვედრა ოთხი რვა წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა, არ მოქმედებდა ოფსაიდის წესი.

თავიდან ყველა ყველას შეხვდა. „აიაქსმა“ „რეინჯერსს“ 6:2 მოუგო, „მილანმა“ „ლივერპულს“ — 5:0. მეორე შეხვედრაში ანგარიში ედგარ დევიდსმა გახსნა, ჩინებული ინდივიდუალური მოქმედებით, შემდეგ კი რობერტო ბაჯომ, სტეფანო ერანიომ, მასიმო ამბროზინიმ და ფრანჩესკო კოკომ ამოავსეს ინგლისელთა კარი. „რეინჯერსის“ დალახვრაში კი ორ-ორჯერ პატრიკ კლუივერტმა და კიკი მუსამპამ მიიღეს მონაწილეობა, თითო კი იარი ლიტმანენმა და მარკ ოვერმარსმა დაამატეს.

შემდეგ, „აიაქსი“ „მილანს“ შეხვდა. თითო გოლის გაცვლის შემდეგ, ლიტმანენმა მუსამპას კუთხურიდან საღამოს ულამაზესი გოლი გაიტანა და ამსტერდამელები დააწინაურა, მაგრამ ბაჯომ გაქვითა და საბოლოო 2:2 დაადგინა. „რეინჯერსმა“ „ლივერპული“ 7:3 სძლია.

„ლივერპულს“ არც მეორე დღეს გაუმართლა. ჰოლანდიის ჩემპიონმა რვაჯერ დაულაშქრა კარი და მხოლოდ ერთხელ გაუშვა. „მილანმა“ გლაზგოელებს სამის წილ სამი შეუგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 16:5 | 7 |
| მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 10:5 | 5 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 12:12 | 4 |
| ლივერპული | 3 | 0 | 0 | 3 | 4:20 | 0 |

21 ათასი გულშემატკივრის თვალწინ, მესამე და მეოთხე ადგილზე გასულმა გუნდებმა ექვსტაიმიან მატჩში ერთმანეთისთვის უპირატესობის დამტკიცება სცადეს, მაგრამ 3:3 დაასრულეს. დამატებით დროში გლაზგოელებმა შეაგდეს და „უეცარი სიკვდილის“ კანონით გამარჯვება ერგოთ.

ფინალში „აიაქსი“ „მილანს“ ასევე ექვს ტაიმს ეთამაშა. მილანელებმა რიხარდ ვიჩხეს და ფრანკ დე ბურის გოლებს რობერტო ბაჯოს ორით, პიეტრო ვერხოვოდის, ედგარ დავიდსის და დეიან სავიჩევიჩის თითოთი პლუს მარკ ოვერმარსის ავტოგოლით უპასუხეს და საპრიზო 200 ათასი დოლარი ჩაიჯიბეს.

შეჯიბრება თავისთავად ორიგინალური იყო, მაგრამ მიმომხილველთა დიდ ნაწილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ფეხბურთელთა უმეტესობა უფრო ფეხებს უფრთხილდებოდა, ვიდრე ქინით იყო შეპყრობილი.



მილანელი დავიდსი გლაზგოელ გაფთან ჭიდილში

## ინგლისი

პირველ დივიზიონში ხამშაბათს 31-ე ტურის რამდენიმე მატჩი გაიმართა: ბრედფორდი — პორტვეილი 1:0, გრიმსბი — ბარნსლი 2:3, პორტსმუთი — ოქსფორდი 2:1, რედინგი — ჰადერსფილდი 4:1, საუთენდი — კრისტალ პალასი 2:1, ტრანმერი — ნორვიჩი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 29 | 16 | 10 | 3 | 61:37 | 58 |
| ბარნსლი | 28 | 14 | 8 | 6 | 49:34 | 50 |
| შეფილდი | 28 | 14 | 7 | 7 | 49:31 | 49 |
| ვულვზი | 28 | 13 | 7 | 8 | 39:28 | 46 |
| ნორვიჩი | 29 | 13 | 6 | 10 | 40:41 | 45 |
| სტოკ სიტი | 27 | 12 | 7 | 8 | 36:36 | 43 |
| ტრანმერი | 29 | 12 | 6 | 11 | 40:37 | 42 |
| პორტ ვეილი | 30 | 10 | 12 | 8 | 36:33 | 42 |
| ქუინზ პარკი | 28 | 11 | 8 | 9 | 42:40 | 41 |
| კრისტალ პალ. | 28 | 10 | 10 | 8 | 52:32 | 40 |
| იფსვიჩი | 29 | 10 | 10 | 9 | 41:39 | 40 |
| ოქსფორდი | 29 | 11 | 7 | 11 | 40:34 | 40 |
| ჰადერსფილდი | 30 | 10 | 9 | 11 | 36:41 | 39 |
| პორტსმუთი | 30 | 11 | 6 | 13 | 34:37 | 39 |
| ბირმინგემი | 25 | 9 | 9 | 7 | 28:24 | 36 |
| სვინდონი | 28 | 10 | 5 | 13 | 40:38 | 35 |
| ჩარლტონი | 28 | 10 | 5 | 13 | 30:38 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 7 | 13 | 9 | 44:50 | 34 |
| რედინგი | 29 | 8 | 9 | 12 | 35:44 | 33 |
| ბრედფორდი | 30 | 7 | 9 | 14 | 28:45 | 30 |
| ოლდემი | 27 | 6 | 10 | 13 | 30:34 | 28 |
| სიტი | 27 | 8 | 4 | 15 | 29:42 | 28 |
| საუთენდი | 29 | 6 | 10 | 13 | 28:52 | 28 |
| გრიმსბი | 28 | 5 | 9 | 14 | 33:53 | 24 |

## ესპანეთი

ვალიადოლიდი 1:3 ბეტისი

0:1 ტრუხილო (38), 1:1 ვიქტორ ფერნანდესი (45), 1:2 კოვალჩიკი (61), 1:3 კოვალჩიკი (90)

# ქრთამი მსაჯებს ანათებს

პორტუგალიაში სკანდალი სკანდალს ერთვის. ახალი სენსაციის ავტორი გახდა ლისაბონის „სპორტინგის“ პრეზიდენტი 1989-90 წლებში, ჟორჟე გონსალვეში. მან რადიო TSF-ს მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ საერთაშორისო და შინაურ შეჯიბრებებში მას მრავალჯერ მისცემია მსაჯების მოქრთამვის შესაძლებლობა. გონსალვეშმა ფასებზეც ილაპარაკა. ევროთასების შეხვედრაში არბიტრის დახმარება 30 ათასი დოლარის საქმე ყოფილა, პორტუგალიის პირველობაზე კი 3 ათასისა.

— ჩვეულებრივ, როდესაც „სპორტინგს“ უეფას ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლა სურდა, ვუკავშირდებოდით გარკვეულ პიროვნებებს, რომლებიც საქმის მოგვარებაში გვეხმარებოდნენ. იგივე ხდებოდა ეროვნულ ჩემპიონატშიც — განაცხადა კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა.

გონსალვეშმა ამ საიდუმლო პიროვნებათა ვინაობის გამხელა არ ინება. „მე ძლიერ შორს ვარ, იმ ხალხს კი შვილები ჰყავთ“ — უთხრა რადიოჟურნალისტებს.

გონსალვეში მართლაც შორსაა, ანგოლას დედაქალაქ ლუანდაში. გაჩნდა ეჭვი, რომ უცხო ქვეყანას მან უსიამოვნებებისგან თავის დაღწევის მიზნით მიაშურა. რადიოინტერვიუ სწორედ ლუანდადან, ტელეფონით მისცა TSF-ს.

მე ვუკავშირდებოდი გარკვეულ პიროვნებებს, გავურიგდებოდი მათ და საჭირო შედეგს ვაღწევდი. ამას უფრო მაშინ ჩავდიოდი, როცა ისეთ გუნდებს ვხვდებოდით, იგივეს რომ აკეთებდნენ — თქვა პრეზიდენტყოფილმა.

ესლა აკლდა პორტუგალიას. მოგეხსენებათ, უეფას, უკვე დაწყებული ჰქონდა „პორტუს“ პრეზიდენტის ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოშტას საქმიანობის ძიება. პინტუ და კოშტას 1984 წლის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში, „აბერდინის“ წინააღმდეგ, რუმინელი მსაჯის მოქრთამვაში დასდეს ბრალი. მასვე პორტუგალიის პირველობაზე 1995 წელს ჩადენილ იმავე დანაშაულს უმტკიცებს ქვეყნის პოლიცია.

პინტუ და კოშტა გამოძიების ბოლომდე კომენტარისგან თავს იკავებს.

**პაპუნა ქედია**


# ბავშვთა კვება



## Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIV ტური**

1-3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — სანდერლენდი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბლეკბერნი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| დერბი ქაუნთი — ლივერპული | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| ევერტონი — ნოტინგემი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლიდსი — არსენალი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — საუთჰემპტონი | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ნიუკასლი — ლესტერი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| შეფილდ უენსდეი — ქოვენთრი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| უიმბლდონი — მიდლსბრო | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ტოტენჰემი — ჩელსი | 2,0 | 2,9 | 2,9 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური**

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ბირმინგემი | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბრედფორდი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| გრიმსბი — ჩარლტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ნორვიჩი — ბარნსლი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ოქსფორდი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პორტსმუთი — ოლდემი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ქუინზ პარკი — კრისტალ პალასი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| საუთენდი — იფსვიჩი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სვინდონი — შეფილდ იუნაიტედი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ტრანმერი — რედინგი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვულვერჰემპტონი — სტოკ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური**

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ვერონა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კალიარი — იუვენტუსი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ფიორენტინა — ატალანტა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| მილანი — სამპდორია. | 1,8 | 3,0 | 3,4 |
| პარმა — პიაჩენცა | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პერუჯა — ინტერი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| რეჯანა — ნაპოლი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| რომა — ვიჩენცა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| უდინეზე — ლაციო | 2,0 | 2,7 | 3,1 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XX ტური**

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოჯა — სალერნიტანა | 1,6 | 2,9 | 4,7 |

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშია — ბარი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ჩეზენა — ტორინო | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| კოზენცა — დი სანგრო | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| კრემონეზე — კიევო | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ემპოლი — პადოვა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლეჩე — რეჯინა | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლუკეზე — ჯენოა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პესკარა — პალერმო | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ვენეცია — რავენა | 2,0 | 2,9 | 2,9 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. XXII ტური**

1-3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — ტენერიფე | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ლოგრონიესი — სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| სევილია — სოსიედადი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| ვალენსია — რასინგი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სპორტინგი — ესპანიოლი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ბარსელონა — ოვიედო | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ბილბაო — ბეტისი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ესტრემადურა — ერკულესი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| რეალი — დეპორტივო | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| სელტა — ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტური**

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — სტრასბური | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რენი — კაენი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ნიცა — მარსელი | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| ოსერი — ნანსი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლილი — ბორდო | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| მეცი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლე ავრი — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლიონი — მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — კანი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლანსი — გინგამი | 1,8 | 2,6 | 4,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იველიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## ძიუდო

# ნილი ნართმეული ტურნირიდან

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი წელს მეხუთედ ჩატარდა, უმაღლესი, „ა“ კატეგორია კი შარშან მიენიჭა. ამით იგი მსოფლიოს ძიუდოს სეზონის გამხსნელ შეჯიბრებად იქცა. თუმცაღა შარშან მეტი მონაწილე ჰყავდა, ვიდრე ამჯერად. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მაშინ მოსკოვის ტურნირი ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებელ ქულებს იძლეოდა.

18 მონაწილე ქვეყნიდან თითქმის ყველამ უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანა. საკმარისია ითქვას, რომ მოსკოვის ტატამზე იჭიდავეს სამმა ოლიმპიურმა, ოთხმა მსოფლიოსა და რვა ევროპის ჩემპიონმა და პრიზიორმა. სპორტსმენები მიავლინა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკამ. ესენი კი ქართველებისთვის ყოველთვის ძნელი და უხერხული მეტოქეები იყვნენ, ამიტომ სეზონის სტარტზე მათთან გაჯიბრება ურიგო სულაც არ გახლდათ.

ყველა ტურნირს ჰყავს თავისი გმირი. მოსკოვში სპეციალისტებმა ამგვარად ჩვენი სოსო ლიპარტელიანი შერაცხეს. მისი ჭიდაობა, პრაქტიკულად, უნაკლო იყო, თანაც ახალ, 86 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. ხუთი შეხვედრიდან ოთხი ლიპარტელიანმა იპონით მოიგო. ნახევარფინალში იგი რუს სერგეი იგნატიევს დაეჭიდა. სოსომ იუკოზე დაავდო მეტოქე, მაგრამ გდება არ შეუფასეს. მერე ტყუილუბრალოდ ჩუით გააფრთხილეს. ჩვენებური ძალიან ავიწროებდა რუსს, მაგრამ მსაჯები მეტოქეს გაფრთხილებას არ აძლევდნენ. დამთავრებამდე ცხრა წამით ადრე ლიპარტელიანმა მორიგი შეტევა წამოიწყო და სულ ხუთი წამი დასჭირდა იგნატიევის წმინდად ჩამოსახეთქებლად. ფინალში სოსომ დიდხანს არ აწვალა უკრაინელი ანდრეი კროხმალიოვი, ვისთანაც ევრო-გუნდურზე წააგო — ფეხიდან აიყვანა და ისე დაახეთქა, რომ უკრაინელი დაჯილდოების ცერემონიალზეც ვერ გამოვიდა.

გიორგი რევაზიშვილი ჩასვლის დღეს ავად გახდა. 25-ში, ანუ ჭიდაობის წინა დღეს, 39 გრადუსი სიცხე ჰქონდა და ფეხზე ძლივს იდგა. მიუხედავად ამისა, მან იმ საღამოს წონის დასაკლებად მაინც ირბინა და მეორე დღეს ტატამზე გავიდა. პირველად რუსეთის მეორე ნომერ ახმედოვს მოუგო წმინდად. შემდეგ მეტოქედ ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი აზერბაიჯანელი ნაზიმ ჰუსეინოვი ჰყავდა. ჭკვიანურად წარმართულ ჭიდაობაში ჯლანამ იუკოთი მოამთავრა საქმე. ნახევარფინალში კი მსოფლიოს ჩემპიონი და ატლანტის ვერცხლის პრიზიორი იაპონელი იუკიმასა ნაკამურა დახვდა. ცხადია, ვინც ჩაითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ ჯლანამ ტატამის კიდესთან ფეხიდან აიყვანა მრისხანე მეტოქე და ბზრიალით ძირს ისე დაუშვა, რომ ნაკამურას შეჯიბრება აღარც გაუგრძელებია — მესამე ადგილისთვის აღარ იჭიდავა. რევაზიშვილი ფინალში გავიდა, სადაც ჩვენივე გიორგი ვაზაგაშვილი ელოდა.

ვაზაგაშვილმაც შეიცვალა წონა და ახლა 65 კგ-ში გამოდის. მოსკოვში იგი ახალგრიპგადატანილი იყო და ჯერაც ახველებდა. მიუხედავად ამისა, იგი ფინალამდე იოლად მივიდა (სამიდან — ორი იპონი) და ფინალში რევაზიშვილს შეხვდა. უფრო ტიტულოვანი ვაზაგაშვილის უპირატესობა აშკარა იყო — მან რამდენჯერმე იუკო აიღო, ხოლო მერე მსაჯებმა რევაზიშვილი პასიურობისთვის მოხსნეს.

კარგად იჭიდავა ნესტორ ხერგიანმაც. ეს 21 წლის ბიჭი პრაქტიკულად არ ილღება და ასეთი რამ არც მოსკოვში მოსვლია. თუმცა, მეორე შეხვედრაზე იგი პირველის დამთავრებიდან დაახლოებითი ხუთ წუთში გამოიძახეს. შემტევი და გაუჩერებელი ჭიდაობით ნესტორი ყველა მეტოქეს ღლიდა და იგებდა. ასე გრძელდებოდა ფინალამდე, სადაც ხერგიანის მეტოქე ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი იაპონელი ტადაჰირო ნომურა იყო. ნომურას კი ერთი წელია, საერთოდ არ წაუგია...

მძიმეწონოსან ალექსი დავითაშვილს 20 წამი აშორებდა ჩემპიონობას. ფინალამდე მან ძლიერი მეტოქეები, ევროპის ჩემპიონები რუსი იგორ ბერეზნიცკი (შებოჭვა) და ესტონელი ინდრეკ პერტელსონი ჩამოიცილა. გადამწყვეტ შერკინებაში მას რუსეთის წარმომადგენელი, ვლადიკავკაზელი ოსი ტამერლან ტმენოვი შეხვდა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი. ამ ტმენოვმა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორს იაპონელ შინოჰარას ბოლო წამებზე მოუგო, მანამდე კი ვაზარის აგებდა. იაპონელის ბედი დავითაშვილმაც გაიზიარა — ვაზარის იგებდა, მაგრამ მაინც შეუტია და თავისსავე ილეთზე წმინდად დაეცა. ამ შეხვედრას რუს მსოფლიოს ჩემპიონთან სერგეი კოსოროტოვთან ერთად ვუყურებდი. პირადი ინტერესებიდან გამომდინარე (ტმენოვი მისი კონკურენტია), კოსოროტოვი დავითაშვილს ქომაგობდა და, ნეტავ მოიგოსო, იძახდა. როცა საქმე ყველას გაჩარხული გვეგონა, კოსოროტოვმა თქვა: ალიკა კი იგებს, მაგრამ ბოლო წამებზე წაგება სჩვევია ხოლმეო. ამის თქმა და დავითაშვილის დაცემა ერთი იყო. რას იზამ, დავითაშვილს კოსოროტოვისთვისაც აქვს მირთმეული ამგვარი „საჩუქარი“: მსოფლიოს ჩემპიონატზე დამთავრებამდე 17 წამით ადრე ვაზარის უგებდა და ზუსტად ანალოგიურად წააგო.

მძიმე წონაშივე იჭიდავა რამაზ ჩოჩიშვილმა. ურიგოდ არ გამოსულა, მაგრამ შინოჰარასთან დაშვებულმა უნებლიე შეცდომამ მას მედლისთვის ბრძოლის საშუალება არ მისცა. დანარჩენმა ჩვენიანებმა ბრძოლა ადრე შეწყვიტეს და მათი გამოსვლის შესახებ წერილის ბოლოს ცალკე იხილავთ.

თუკი მოსკოვის ტურნირის თარიღს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ადრე ამ ვადებში თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ოჯდა“. თბილისის ტურნირი ადრე საკავშირო ძიუდოს ფედერაციის ეგიდით ეწყობოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში საქმეები აირია, რუსეთმა (სსრკ-ს მემკვიდრემ) ჩვენი ტურნირი თავისთან გადაიტანა და აგერ უკვე მეხუთედ ჩაატარა. რას იზამ, წარსულს უკან ვერ მოაბრუნებ, მაგრამ ჩვენ თბილისის ტურნირის აღდგენას მაინც ვეშურებით. ეს წელს, 26-27 ივლისს მოხდება. მოსკოვში ჩამოსული ქვეყნების გუნდებისა და ძიუდოს ფედერაციათა წარმომადგენლები ამ ამბის გაგებას დიდი სიხარულით ხვდებოდნენ და მონაწილეობის მიღებას გვპირდებოდნენ. თვით დიდმა იასუჰირო იამასიტამ გაიხარა ამ ამბის გაგებით და როცა მოწვევა გადავეცით, მთელს გუნდს დაუძახა და წერილის შინაარსი გააცნო.

გუნდური შედეგები არ დაუჯამებიათ, მაგრამ არაოფიციალურად თუ დავთვლით, მეორე ადგილზე გავიდოდით რუსეთის შემდეგ. თუმცა, რუსეთმა, როგორც მასპინძელმა, 33 მოჭიდავე გამოიყვანა, ჩვენ კი მხოლოდ ათი ძიუდოისტი გვყავდა. სამაგიეროდ, არავის ჰყოლია ჩვენზე ტიტულოვანი დელეგაციის წევრები. ხანდახან, ტატამზე გასვლის წინ, ჩვენს რომელიმე მოჭიდავეს ერთბაშად ორ-ორი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ამზადებდა ხოლმე: შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური და ამირან ტოტიკაშვილი. ამ ბუმბერაზი მოჭიდავეების გვერდით ყოფნა დიდი სტიმული იყო ბიჭებისთვის, ხოლო შოთა ჩოჩიშვილმა ჩვენი ჩემპიონები მატერიალურადაც წაახალისა.

ცხადია, ორი პირველი და სამი მეორე ადგილი კარგი შედეგია. ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სეზონი ახლა იწყება და მთავარი სტარტები — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები წინაა და ძირითადი სამზადისი სწორედ მათთვისაა უპრიანი. მოსკოვის ტურნირი კი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. თუკი ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს დავიმოწმებთ, იგი კმაყოფილია მოსკოვის ტურნირით, თუმცაღა ბევრი ხარვეზები შეამჩნია და მათ გამოსასწორებლად დიდი მუშაობაა საჭირო. მომდევნო „ა“ კატეგორიის ტურნირში ქართველები 7-9 თებერვალს იჭიდავებენ. ეს შეჯიბრება პარიზში გაიმართება.

**მერაბ რატიშვილი**
**მოსკოვი — თბილისი**

### პრიზიორები

ვაჟები

60 კგ: 1. ტადაჰირო ნომურა (იაპონია), 2. ნესტორ ხერგიანი (საქართველო), 3. რაშად მამედოვი (ბელარუსი) და აიდინ ხმაგულოვი (ყაზახეთი)
65 კგ: 1. გიორგი ვაზაგაშვილი, 2. გიორგი რევაზიშვილი (ორივე — საქართველო), 3. ალექსანდრ შლიკი (ბელარუსი) და ივან ბოგლაევი (ყაზახეთი)
71 კგ: 1. ანატოლი ლარიუკოვი, 2. ანატოლი ავაზნელი, 3. გოგი ითხელიანი (ყველა — რუსეთი) და ანდრეი შტურბაბინი (უზბეკეთი)
78 კგ: 1. კონსტანტინ საჩიშვილი (რუსეთი), 2. დავიდ ინკელი (საფრანგეთი), 3. გერმან აბდულაევი და მაგომედ გაბაროვი (ორივე — რუსეთი)
86 კგ: 1. სოსო ლიპარტელიანი (საქართველო), 2. ანდრეი კროხმალიოვი (უკრაინა), 3. აიდარ ნიგმეტოვი (ყაზახეთი) და სერგეი იგნატიევი (რუსეთი)
95 კგ: 1. გინტარას ამბრაშკა (ლიტვა), 2. მავლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი), 3. იური სტეპკინი და ჯაბრაილ ბარკალაევი (ორივე — რუსეთი)
მძიმე: 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი), 2. ალექსი დავითაშვილი (საქართველო), 3. ჟერომ დრეიფუსი (საფრანგეთი) და შინიჩი შინოჰარა (იაპონია)

ქალები

48 კგ: 1. ტატიანა მოსკვინა (ბელარუსი), 2. სვეტლანა კომაროვა (რუსეთი), 3. ვირჟინ ლერმიტი (საფრანგეთი) და სანდრინ დარდიიაკი (ორივე — საფრანგეთი)
52 კგ: 1. ელენა კარიცკაია (ბელარუსი), 2. მარინა კოვრიგინა, 3. ვიქტორია ვოლოტოვა და ლიუდმილა ხრამოვა (ყველა — რუსეთი)
56 კგ: 1. ზულფია ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი), 2. ბარბარა არელი (საფრანგეთი), 3. ტატიანა ივაშინა და ელენა პრონინა (ორივე — რუსეთი)
61 კგ: 1. ირინა აფონინა (რუსეთი), 2. კრისტელ ფორე, 3. გილენ გიომი (ორივე — საფრანგეთი) და მარინა დიკევიჩი (ბელარუსი)
66 კგ: 1. რასა ცეხანავიჩუტე (რუსეთი), 2. ბელ ბლესუ, 3. ამინა აბდელატიფი (ორივე — საფრანგეთი) და ოლგა მატვეევა (რუსეთი)
72 კგ: 1. საბინ ტისერანი (საფრანგეთი), 2. ანა კოროზა (პოლონეთი), 3. ლიუდმილა კლიმჩუკი (რუსეთი) და ევგენია ბოგუნოვა (ყაზახეთი)
მძიმე: 1. ირინა როდინა (რუსეთი), 2. სონია მორინი, 3. ფატიმა სულეიმანოღლუ (ორივე — საფრანგეთი) და სვეტლანა ლისიანსკაია (უკრაინა)

### ქართველები მოსკოვის ტურნირზე:

60 კგ. **ნესტორ ხერგიანი:** მაიოროვი (რუსეთი) 10:0, ბუდაგოვი (აზერბაიჯანი) 10:0, გოდოვნიკოვი (რუსეთი) 3:0, ნომურა (იაპონია) 0:10
65 კგ. **გიორგი ვაზაგაშვილი:** სირბუ (მოლდოვა) 10:0, შაიმერდენოვი (ყაზახეთი) 7:0, ბოგლაევი (ყაზახეთი) 10:0, რევაზიშვილი 10:0. **გიორგი რევაზიშვილი:** ახმედოვი (რუსეთი) 10:0, ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) 5:0, ნაკამურა (იაპონია) 10:0, ვაზაგაშვილი 0:10
71 კგ. **ქართლოს თედიაშვილი:** მუდაშოვი (ყაზახეთი) 10:0, მანენკო (ბელარუსი) 10:0, ა.ავაზნელი (რუსეთი) 0:10, შტურბაბინი (უზბეკეთი) 0:10. **დავით ნადარაია:** ლარიუკოვი (რუსეთი) 0:10, კაპუსტიანი (ბელარუსი) 10:0, ზელიონი (ლატვია) 0:3
78 კგ. **ზაზა გულიაშვილი:** ნირანოვიჩი (უკრაინა) 10:0, გაბაროვი (რუსეთი) 0:10, ჰორიკოში (იაპონია) 0:10
86 კგ. **სოსო ლიპარტელიანი:** ფილატკინი (ლატვია) 10:0, გრეკოვი (უკრაინა) 5:0, ავაზოვი (უზბეკეთი) 10:0, იგნატიევი (რუსეთი) 10:0, კროხმალიოვი (უკრაინა) 10:0. **ლევან ციბრიაშვილი:** არხიპოვი (რუსეთი) 0:10
მძიმე. **ალექსი დავითაშვილი:** ჟუკოვსკი (ბელარუსი) 10:0, ბერეზნიცკი (რუსეთი) 10:0, პერტელსონი (ესტონეთი) 3:0, ტმენოვი (რუსეთი) 0:10. **რამაზ ჩოჩიშვილი:** კოროტკოვი (რუსეთი) 10:0, დრეიფუსი (საფრანგეთი) 0:10, პახანოვი (რუსეთი) 10:0, შინოჰარა (იაპონია) 0:7
52 კგ. **რუსუდან კუპატაძე:** ვოტა (პოლონეთი) 0:5
66 კგ. **ეკატერინე ნადაშვილი:** ნურტაზინა (ყაზახეთი) 0:10, მინკოვსკაია (რუსეთი) 0:10

## ჭიდაობა

# თბილისს ტურნირები უბრუნდება

სპორტის სასახლის სავსე ტრიბუნები მოენატრათ მოჭიდავეებს. თავის მხრივ, ქომაგებსაც თვალი დარჩათ მსოფლიოს საუკეთესო ფალავანთა ჭიდაობაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თბილისური საერთაშორისო ტურნირები ჭიდაობაში კვლავ აღდგება ძველებური მასშტაბებითა და დიდებით.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) თავკაცებს, რომ ამ ორგანიზაციის 1997 წლის საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარში გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირიც შეეტანათ. ფილამ გულისხმიერება გამოიჩინა და რამდენიმე დღის წინ აცნობა ჩვენებურებს, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და 18-20 ივლისს სპორტის სასახლე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ფალავნებს უმასპინძლებს. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელები მინიმუმ 7-8 ქვეყნის დელეგაციის მოწვევას ვარაუდობენ, თუმცა, თუ სახსრები იქნა, არ არის გამორიცხული, რომ მონაწილე ქვეყანათა რიცხვი გაიზარდოს. თუ გავიხსენებთ, რომ შარშან ვახტანგ ბალავაძის ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში მხოლოდ 3-4 გუნდი მონაწილეობდა, ისიც უახლოესი მეზობლები და თანაც არასრული შემადგენლობით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისს დიდი ჭიდაობა უბრუნდება.

## კრივი

# მოკრივეებს უღხინთ...

ქართველ მოკრივეებს წელს კაი გვარიანი გარჯა მოუწევთ: თავი რომ დავანებოთ არაერთ საერთაშორისო ტურნირს, სადაც ჩვენებურები იასპარეზებენ, ივნისში, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს მაკედონიაში ევროპის ჩემპიონატი ელის, ახალგაზრდებიც ივნისშივე, ბირმინგემში ევროპულ რინგზე იასპარეზებენ, უფროსები კი წლის მთავარ შეჯიბრებებში მოგვიანებით გამოვლენ — ოქტომბერში ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, წლის მიწურულს ისრაელში, ევროპის ჩემპიონატზე. ამიტომაც, ჩვენი კრივის მესვეურებმა ახალი და ძველით ახალი წელი მოილიეს თუ არა, საქმეს მიხედეს: უფროსთა ნაკრები ბორჯომში გაამგზავრეს შეკრებაზე მთავარი მწვრთნელის ზურაბ გუნიას ხელმძღვანელობით, ახალგაზრდები კი გორში ეახლნენ გიორგი კანდელაკს. სხვათა შორის, ეს პირველი შეკრებაა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩაატარებს. ბიჭები გორში დაბინავდნენ და იქიდან დადიან კანდელაკის სოფელ ვარიანში, სადაც გიორგის ახლადგახსნილ კლუბ „ჩემპიონში“ ხვეწენ ოსტატობას. მართალია, კრივის ფედერაციამ საკუთარი ხარჯებით გაგზავნა გუნდი გორში, მაგრამ ფედერაციის მწირი ბიუჯეტით შეუძლებელია წელიწადში რამდენჯერმე სრულფასოვანი შეკრების მოწყობა რამდენიმე ნაკრებისთვის, ამიტომ, მწვრთნელმაც ხელი გამოიღო და, როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ გვითხრა, გიორგი კანდელაკმა საუკეთესო პირობები შეუქმნა თავის შეგირდებს და ბიჭებიც დიდად კმაყოფილები არიან.

# ...და უჭირთ

უცხოურ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე მარტო შეკრებებით ფონს რას გახვალ... ჯერ საშინაო ტურნირებზე უნდა გამოსცადო თავი, რათა აქ მიეცეთ მწვრთნელებს საუცხოოთი გუნდის დაკომპლექტების საშუალება. მარტში ჭაბუკ მოკრივეებს ეროვნული ჩემპიონატი უწევთ, აპრილში ახალგაზრდებმა და უფროსებმა უნდა გამართონ შინაური ჩემპიონატი, მაგრამ სად და როგორ ჩატარდება ეს ტურნირები, ჯერჯერობით, კაცმა არ იცის. კრივის ფედერაციას თბილისში ურჩევნია საქართველოს საუკეთესო მოკრივეთა თავმოყრა, მაგრამ სპორტსმენთა დაბინავებას ვერ ახერხებს, ამიტომ, სამივე ჩემპიონატს ალბათ საქართველოს სხვა ქალაქები უმასპინძლებენ — სავარაუდოდ, ბათუმი, ფოთი ან ქუთაისი.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# [illegible]

27 იანვარი. ოტავა — ტამპა 5:3, რეინჯერზი — ჩიკაგო 1:2, ტორონტო — კოლორადო 1:5, სენტ ლუისი — ანაჰაიმი 1:4, დალასი — ლოს ანჯელესი 7:2, ვანკუვერი — სან ხოსე 5:2.
28 იანვარი. ფილადელფია — ფინიქსი 4:1, ფლორიდა — მონრეალი 5:1, კალგარი — აილენდერზი 4:3.

მორიგ მატჩებში ლიდერებს ისეთი გუნდები დაუპირისპირდნენ, ვისაც ამჟამად ქულები ჰაერივით სჭირდებათ და ნებისმიერი თამაში გადამწყვეტად აქვთ ქცეული. ამის მიუხედავად, ლიდერებმა ღირსეულად ითამაშეს და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დამარცხდნენ.

რეინჯერზმა პიტსბურგში შთამბეჭდავი მოგების შემდეგ ვერაფერი მოუხერხა ჩიკაგოს, რომლის რიგებში გოლკიპერმა ჰეკეტმა გაიბრწყინა. მან გადამწყვეტ მომენტში რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი, და სწორედ ჰეკეტის, ვინც წელს სახელგანთქმული ბელფორი მეორე პოზიციაზე გადაადგილა, დამსახურებაა ის, რომ ჩიკაგომ მინიმალური სხვაობა (0:1) მესამე პერიოდამდე შეინარჩუნა. ბოლო მესამედში კი „ქორებმა“ ორი კონტრშეტევა განახორციელეს და სან ხოსედან გადასულმა შვედმა დალენმა, რომელიც პირველ სამეულში ამონტეს (1+1, 31) და ჟამნოვს (2 პასი) შეუამხანაგდა, თავის გუნდს 5 მარცხის შემდეგ პირველი გამარჯვება მოუტანა. დანარჩენმა ფავორიტებმა იოლად მოიგეს. ავღნიშნავთ დალასის დამაჯერებელ გამარჯვებას. ამან ქვა ქვაზე არ დატოვა ლოს ანჯელესის დაცვისგან და სეზონში მეორედ შეიდი შაიბა გაახერხა, თანაც გუნდის ლიდერმა მოდანომ 3 (2+1) ქულა დააგროვა, მცველმა საიდორმა კი 3 პასი გააკეთა.

ტორონტოში შვედების — მასპინძელი სუნდინის და კოლორადოელი ფორსბერგის დუელს ელოდნენ, მაგრამ მათ ანგარიშზე მხოლოდ სუნდინის კინკილა პასია. სამაგიეროდ ფორსბერგის პარტნიორებმა გამოიჩინეს თავი. ოზოლინშმა (16) მეორე პერიოდში გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი დიდმარშმა და კლოდ ლემიემ დაასრულეს საქმე. აღსანიშნავია, რომ მარიოს მოგვარეს ანგარიშზე მხოლოდ ერთი შაიბაა ამ სეზონში, რადგან ბოლო ორი წლის სტენლის თასის მფლობელმა (ნიუ ჯერზიში და კოლორადოში) სეზონის პირველი ნახევარი გამოტოვა.

სამშაბათს ფილადელფიამ და ფლორიდამაც არ შეირცხვინეს თავი. „მფრინავებს“ გადამწყვეტი უპირატესობა ორი გოლით პოდინმა შეუქმნა, ხოლო ლინდროსმა (1+1) მე-14 შაიბა შააგდო. რაც შეეხება ფლორიდას, მას კრიზისში მყოფ მონრეალის დაძლევა არ გაუჭირდა, თანაც „პანტერების“ მთავარმა სნაიპერებმა მელანბიმ (2+1, 20) და შეპარდმა (20) გაზარდეს პირადი ანგარიში. მონრეალმა კი 20 იანვარს დეტროიტთან გამარჯვების შემდეგ ოთხ თამაშში 24 (!) შაიბა გაუშვა.

ძალზედ საჭირო ორი ქულა მიითვალა ანაჰაიმმა, რომლის რიგებში კვლავ რუჩინის სამეულმა გაიბრწყინა. ამჯერად მთავარი როლი სელიანემ (2+1, 28) შეასრულა, ხოლო კარიამ ერთი ქულა იკმარა. წაგებულთა შორის, ცხადია, გამოირჩეოდა ბრეტ ჰალი. მან თავისი მეხუთე შაიბა შააგდო ბოლო სამ მატჩში.

ვანკუვერის და სან ხოსეს მატჩის ბოლო წუთებში მოედანი ბრძოლის ველს წააგავდა. ჩხუბის ინიციატორები კალიფორნიელი ჰოკეისტები გახდნენ (აბა თამაშით ვერ გამოირჩევიან და...) — 6 წამის განმავლობაში სამი ჩხუბი ატყდა. მანამდე მასპინძლებმა რიდლის და ბურეს (21) შაიბებით გადამწყვეტი უპირატესობა შექმნეს. ვანკუვერის მეორე სუპერვარსკვლავმა მოგილნიმ (1+1, 20) გუნდის კაპიტანი ქუინი გააკრიტიკა, რამაც უფრო გაამწვავა მათი ისედაც რთული ურთიერთობა და სპეციალისტთა აზრით მოაახლოვა გაცვლის დღე.

აუტსაიდერები ოტავა და კალგარი თავის უშუალო მეზობლებს გაუმკლავდნენ. აღსანიშნავია, რომ ოტავა 1:3 აგებდა ტამპასთან, მაგრამ ამჯერად „სენატორები“ წამყვანმა ფორვარდებმა, იაშინმა (2 შაიბა) და ალფრედსონმა (1+2, 18) გადაარჩინეს.

ბოლოს ერთ მნიშვნელოვან „ჩენჯზე“ მოგახსენებთ. ზემოთხსენებული სან ხოსელი დალენი თანაკლუბელ მეკარე ტერერთან და მცველ სიკორასთან ერთად ჩიკაგოს გოლკიპერ ბელფორზე გაიცვალა.

**სამველ ლარიბიანი**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
**საქართველო — ბელარუსი 80:78 (32:36)**
თბილისი. სპორტის სასახლე. 29 იანვარი. 6 000 მაყურებელი
მსაჯები: რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა), ანდრეას ტობი (ესტონეთი).

| საქართველო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ | საჯარიმო ხულ | საჯარიმო ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 უსტიაშვილი | 1 | 3 | — | — | — | 2 | 1 | 2 |
| 13 დადიანი | 8 | 2 | — | — | — | — | — | 5 |
| 12 ქარაბაკი | 31 | 5 | 2 | 1 | — | 12 | 11 | 4 |
| 14 ბეჟანიშვილი | 15 | 9 | 1 | — | — | 4 | 3 | 4 |
| 10 ნაცვლიშვილი | 22 | 10 | — | 3 | 2 | 12 | 8 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 3 | 3 | 1 | 3 | — | 4 | 1 | 4 |
| 6 ჯაფარიძე | — | — | — | — | — | 2 | — | 1 |
| 4 თორთლაძე | — | 1 | 1 | 1 | — | — | — | 2 |
| 7 კოკოლიშვილი | — | 1 | — | — | — | — | — | — |
| ხულ | 80 | 34 | 5 | 8 | 2 | 36 | 24 | 26 |

| ბელარუსი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ | საჯარიმო ხულ | საჯარიმო ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 კუზმინი | 6 | 1 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 3 |
| 8 პინტიკოვი | 23 | 4 | 1 | — | — | 8 | 8 | 4 |
| 13 კლემეზი | 28 | 2 | 2 | 3 | — | 14 | 10 | 2 |
| 7 ხვეტნიკი | 13 | 4 | — | 3 | — | 9 | 5 | 5 |
| 15 ტკაჩენკო | 2 | 2 | — | — | — | 2 | 2 | 5 |
| 14 შარკო | — | 3 | — | 2 | — | — | — | 5 |
| 11 კორჟუკი | 6 | — | — | 1 | — | 4 | 4 | 2 |
| 6 ხამენია | — | — | — | — | — | — | — | — |
| ხულ | 78 | 16 | 4 | 11 | — | 39 | 30 | 26 |

# მოგება უცენტროდაც შეგვძლებია

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი „დაცხრილული" შემადგენლობით არასოდეს უთამაშია — ერთბაშად სამი ცენტრი (სტეფანია, ბერძენიშვილი, შენგელია) და საუკეთესო სნაიპერი (სანაძე) არ იყო. არც ბელარუსს ჰყავდა უძლიერესი შემადგენლობა — აკლდა ბაიდაკოვი, გრიშჩუკი და რუსეთის მოქალაქეობამიღებული დაინეკო. რაც შეეხება ამერიკაში მოთამაშე ხუთ სტუდენტს, მათ ამ შესარჩევ ციკლში არ უთამაშიათ თავიანთი ქვეყნის ნაკრებში და მათი არყოლის მომიზეზება, როგორც ეს სტუმართა მწვრთნელმა ბორისოვმა გააკეთა, უბრალო წუწუნსა ჰგავდა.

უცენტრობამ ქართველებს დიდი პრობლემა შეუქმნა. ამ ადგილზე ნაცვლიშვილი დადგა და თავის ძირითად საქმიანობას ძალაუნებურად მოსწყდა. უსანაძეობაც დიდი განსაცდელი აღმოჩნდა — ცალკე შორიდან სროლა არ გამოდიოდა, ცალკე ბელარუსების ზონური დაცვის დარღვევა ვერ მოხერხდა. სტუმართა დაცვის დაშლა ჩვენებმა ინდივიდუალური გარღვევებით გადაწყვიტეს, მაგრამ ბოლო მომენტში სიზუსტე აკლდათ. ვერც სროლები წაგვივიდა, შორზე რა ლაპარაკია, საშუალო მანძილიდანაც არაფერი გამოდიოდა. საქმე ის იყო, რომ ბელარუსებმა ვერ შეირგეს ფორა და პირწმინდად წააგეს ფარი. ამიტომაც იყო, რომ წინ საფუძლიანად ვერ გაიჭრნენ და მაქსიმუმ 5-6 ქულით თუ გვისწრებდნენ ხოლმე. 13:17-ზე, თამაშის მე-9 წუთზე, მოედანზე ჯაფარიძე შემოვიდა და ცენტრად დადგა. ირაკლის დებიუტი აშკარად ვერ გამოუვიდა, ფარქვეშ უპირატესობა ანგარიშში ვერ აისახა. თანაც, ჩვენი შეტევები ერთობ დუნე და ხანგრძლივი იყო — თუკი ვინმე აფეთქდებოდა, ისიც მეტად სწორხაზოვნად და ერთფეროვნად.

ტაიმის დამთავრებამდე 6,26 წუთით ადრე ჩვენები გამოფხიზლდნენ და შეტევები ასწრაფეს. ამან უმალ გამოიღო ნაყოფი, რადგან 22:21 დავწინაურდით. სამწუხაროდ, ეს ორიოდ წუთს გაგრძელდა, თამაში ისევ „მივაძინეთ" და ბელარუსებმაც არ გვაპატიეს: დარჩენილი სამწუთიანი მონაკვეთი 11:0 მოგვიგეს და შესვენებაზეც ოთხქულიანი მარაგით წავიდნენ.

მეორე ტაიმი ლიპარტელიანმა სიახლით დაიწყო — ხუთეულში არცერთი ნომინალური გამთამაშებელი არ დააყენა, ეს ფუნქცია დააკისრა ჩხეიძეს, რომელიც უკანა ხაზში დადიანს შეუამხანაგდა. დასაწყისშივე დადიანმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. ბეჟანიშვილმაც გაიბრწყინა, როცა ჩაგდებულ ბურთს მეტოქის დაჯარიმებისთვის დანიშნული საჯარიმოც მიაყოლა და ერთწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოვიგეთ. მერე თამაში პირველი ტაიმის მსგავსად გაგრძელდა. ბელარუსები გაყოჩაღდნენ და წინაც გავიდნენ. მათ რიგებში კლემეზი გამოირჩეოდა. იგი საშუალო მანძილიდანაც კარგად ესროდა და გარღვევებიც ვერავინ შეუჩერა. ჩვენდა საბედნიეროდ, მხოლოდ ეს კალათბურთელი ვარგოდა, დანარჩენები კი აშკარად მოისუსტებდნენ. ჩვენებიდან პერიოდულად აგდებდნენ ქარაბაკი, ბეჟანიშვილი და ნაცვლიშვილი. ამის წყალობით იყო, რომ მეტოქე დიდი სხვაობით ვერ გაგვექცა. მერე ზონურ პრესინგზე გადავედით. ვერც ამან გაამართლა, ის კი არა, დადიანმა მეხუთე პერსონალური მიიღო და მოედანიც დატოვა. კვლავ ვერ ხეირობდა უკანა ხაზი, რომელიც ერთგვარად მოწყვეტილი იყო ფორვარდებისგან. ეს უკანასკნელნიც ინდივიდუალურად ცდილობდნენ ზონის დაშლას და ამაში დიდ ენერგიას ხარჯავდნენ. იმდენად დიდს, რომ ხშირად ფარზე სასროლად გასულებს ბურთის ზუსტად სატყორცნად ძალა არ ჰყოფნიდათ.

თამაშის მიწურულს წინ გასვლის შანსი გაჩნდა, როცა პინტიკოვი შეტევისას პირითი ხაზის მიღმა გავიდა. ჩვენების სწრაფი შეტევის დასრულება ბეჟანიშვილს მოუწია, მაგრამ ფარზე მარტო დარჩენილმა სასწაულებრივად აცილა. შემდეგ გამოხტა ისევ კლემეზი და სამქულიანი ჩაგვიგდო — 64:68. ჩვენებმა ამის შემდეგ საგრძნობლად გამოასწორეს დაცვაში თამაში. ამის დასტური ნაცვლიშვილის დაფარებაც გახლდათ, მაგრამ მომდევნო შეტევაში იგი მეტოქის ფარზე ბრძოლისას დაჯარიმდა და იქით ჩასაგდები ბურთი აქეთ მივიღეთ საჯარიმოს სახით. ოთხქულიანი დეფიციტი ვერაფრით ამოვავსეთ, ვიდრე ჩხეიძემ ბურთი არ ჩაჭრა და მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დამსახურებული ორი საჯარიმოდან ერთი არ ჩააგდო — 69:72. აქედან მოყოლებული კი ყველა შეტევის ცალკე აღწერაც ღირს, რაც პირველ გვერდზე უკვე იხილეთ.

**მერაბ რატიშვილი**

## მატჩის შემდეგ

ალექსანდრ ბორისოვი, ბელარუსის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: რა თქმა უნდა, შედეგით გულგატეხილი ვარ. მოგების შემთხვევაში ფინალში გასვლის საკმაოდ სოლიდური შანსი გვრჩებოდა. შანსი ახლაც არის, მაგრამ თეორიული — ახლა იმაზე ვართ დამოკიდებული, როგორ ითამაშებენ დღეს ბოსნიელები.





ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

გულდაწყვეტილი ვარ იმიტომ, რომ მატჩზე უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩამოვედით. არ ვგულისხმობ ამერიკაში მოთამაშე ჩვენს იმ კალათბურთელებს, რომლებიც ამ შესარჩევ მატჩებში არ დაგვხმარებიან, არც დაინეკოს, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. არ ჩამოვიდნენ გრიშჩუკი და ბაიდაკოვი, რომლებიც ჩვენი გუნდის ლიდერები არიან. ასეთი დამოკიდებულება ნაკრებისადმი ძალიან საწყენია.

დღევანდელ თამაშზე უპირველესად იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ძალზე დაძაბული იყო. ჩვენ გვქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ მოთამაშეებმა კრიტიკულ მომენტებში კოლექტიური თამაშის ნაცვლად ინდივიდუალურად სცადეს მატჩის ბედის გადაწყვეტა, რაც ვერ მოახერხეს. თანაც, როცა ჩვენ ამხელა უპირატესობა გვქონდა სიმაღლეში, ფარიდან ასხლეტილი ამდენი ბურთი არ უნდა წაგვეგო.

საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა, რადგან ბოლომდე იბრძოლა. როგორც ვიცი, თქვენ გუნდსაც აკლდა რამდენიმე მოთამაშე და ამ პირობებში თქვენებმა მაქსიმუმი გააკეთეს. მომწონს თქვენი ნაკრები, ახალგაზრდული გუნდია და კარგი მომავალი აქვს. განსაკუთრებით მომეწონნენ ნაცვლიშვილი და ქარაბაკი, რომელთაც ჩვენმა დაცვამ ვერაფერი მოუხერხა. ამ კალათბურთელებს ყველაფერი გააჩნიათ საიმისოდ, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები დადგნენ.

ბესიკ ლიპარტელიანი: სანაძის არყოფნა გუნდს ძალზე დაეტყო. შორიდან სროლები არ წაგვივიდა. შორი სროლების გარეშე კი ზონური დაცვის დანგრევა ძალზე ძნელია. მით უმეტეს, როცა ძირითადი ცენტრი არა გვყავს. ჩვენმა უკანახაზელებმა პირველ ტაიმში მეტოქეთა უკანახაზელებიც ვერ დაკეტეს და ამან პირველ ნახევარში მეტოქის უპირატესობა განაპირობა. ამიტომ მეორე ტაიმი დადიანით და ჩხეიძით დავიწყე, რამაც შედეგი გამოიღო. დუდუმ ორი სამქულიანიც ჩააგდო და მეტოქის დაცვას გასაღები მოეძებნა. ბელარუსთა ზონური დაცვის გადალახვა სწრაფ გარღვევებს შეეძლო, რაც ჩვენებს შიგადაშიგ გამოუვიდათ. მოკლედ, მიუხედავად იმისა, მერე როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მე უკვე მწამდა, რომ გავიმარჯვებდით.

ოთხეულში ვეღარ ვხვდებით, საამისოდ 25 ქულის სხვაობით უნდა მოგვეგო. იმ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ აღმოჩნდით, ეს შეუძლებელი იყო. ბერძენიშვილი და განსაკუთრებით სტეფანია რომ ყოფილიყვნენ, ამ სხვაობით მოგება სულაც არ იყო შეუძლებელი.

რაც შეეხება ამ ორი მოთამაშის არყოფნას. ამის მიზეზები გასარკვევია. სტეფანიას თვით სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი ელაპარაკა ტელეფონით. სტეფანიამ უთხრა, წელი მტკივა და ვერ ჩამოვდივარო. არა მგონია, ეს ტყუილი იყოს. ბერძენიშვილთან კი ყველაფერი დასადგენია. ისე, მე მაინც მინდა, ჩვენმა ახალგაზრდა კალათბურთელებმა იცოდნენ, რომ ნაკრებში თამაში ნებისმიერი კალათბურთელის ვალია და ეს არა მარტო სპორტულ, არამედ ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ ამ თამაშებით და, ჩემი აზრით, იმ პირობების გათვალისწინებით, როგორშიც ვართ, საკმაოდ კარგად ვთამაშობთ. ვფიქრობ, ჩვენს ნაკრებს აქვს პერსპექტივა. თუ ასევე იფიქრებენ ისინი, ვისაც ჩვენი კალათბურთის ხელშეწყობა ევალება, მაშინ ჩვენი გულშემატკივრები კიდევ ბევრი გამარჯვების მომსწრენი იქნებიან.

ახლა ერთი თამაშიღა დაგვრჩა. საქართველოში ევროპული კალათბურთის ერთ-ერთი გრანდი საბერძნეთის ნაკრები ჩამოვა. ვფიქრობ, 27 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში კალათბურთის დღესასწაული იქნება.

**კოტე მგალობლიშვილი**



# ოლ-სტარს ითამაშებენ

კვირას გამოვლინდა ამ 24 კალათბურთელის ვინაობა, ვინც 9 თებერვალს კლივლენდის „განდ არენაში" ოლ-სტარში მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ სასტარტო ხუთეულის წევრებს გულშემატკივრები ასახელებენ, ხოლო დანარჩენებს — ნბა-ს კლუბების მწვრთნელები.

## აღმოსავლეთი

სასტარტო ხუთეული

ანფერნი ჰარდევეი (ორლანდო, ოლ-სტარს თამაშობს მე-3-ედ), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო, 11), გრანტ ჰილი (დეტროიტი, 3), სკოტი პიპენი (ჩიკაგო, 7), პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი, 11)

დანარჩენები

დაცვა: ტერელ ბრენდონი (კლივლენდი, 2), ტიმ ჰარდევეი (მაიამი, 4), გლენ რაისი (შარლოტი, 2). ფორვარდები: ვინ ბეიკერი (მილუოკი, 3), კრისტიან ლეიტნერი (ატლანტა, 1). ცენტრები: ალონზო მურნინგი (მაიამი, 4), დიკემბე მუტომბო (ატლანტა, 4). მწვრთნელი: დაგ კოლინზი (დეტროიტი).

## დასავლეთი

სასტარტო ხუთეული

ჯონ სტოქტონი (იუტა, 9), გერი პეიტონი (სიეტლი, 4), ჩარლზ ბარკლი (ჰიუსტონი, 11), შონ კემფი (სიეტლი, 5), ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი, 12)

დანარჩენები

დაცვა: კლაიდ დრექსლერი (ჰიუსტონი, 10), ედი ჯოუნზი (ლეიკერზი, 1), მიჩ რიჩმონდი (საკრამენტო, 5), ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტი, 3). ფორვარდები: ტომ გულიოტა (მინესოტა, 1), კარლ მელოუნი (იუტა, 10). ცენტრი: შაკილ ონილი (ლეიკერზი, 5). მწვრთნელი: რუდი ტომიანოვიჩი (ჰიუსტონი).

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

25 იანვარი

**მილუოკი — ინდიანა 88:86, ჩიკაგო — ტორონტო 110:98, ატლანტა — ბოსტონი 95:90, კლივლენდი — შარლოტი 106:73, დეტროიტი — ფინიქსი 104:95, ვაშინგტონი — საკრამენტო 113:105, დალასი — ნიუ ჯერსი 92:81, იუტა — ჰიუსტონი 105:100, პორტლენდი — მინესოტა 101:94, დენვერი — ვანკუვერი 83:82**

26 იანვარი

**ნიუ იორკი — მაიამი 95:89, მილუოკი — სან ანტონიო 94:76, ლეიკერზი — სიეტლი 104:103**

27 იანვარი

**მაიამი — ფინიქსი 125:97, გოლდენ სტეიტი — ვანკუვერი 122:97**

28 იანვარი

**ტორონტო — პორტლენდი 120:84, შარლოტი — ინდიანა 98:97, კლივლენდი — ნიუ ჯერსი 84:62, ნიუ იორკი — ბოსტონი 109:107, ვაშინგტონი — ორლანდო 102:82, დეტროიტი — მილუოკი 93:84, საკრამენტო — მინესოტა 91:88, ლეიკერზი — დალასი 102:83, იუტა — დენვერი 114:99, ჩიკაგო — ვანკუვერი 111:96, ატლანტა — კლიპერზი 112:96**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 31 | 12 | 72,1 |
| ნიუ იორკი | 31 | 13 | 70,5 |
| ვაშინგტონი | 22 | 21 | 51,2 |
| ორლანდო | 19 | 20 | 48,7 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 30 | 26,8 |
| ბოსტონი | 9 | 31 | 22,2 |
| ფილადელფია | 9 | 33 | 21,4 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 38 | 5 | 88,4 |
| დეტროიტი | 31 | 11 | 73,8 |
| ატლანტა | 29 | 12 | 70,7 |
| შარლოტი | 25 | 18 | 58,1 |
| კლივლენდი | 24 | 18 | 57,1 |
| მილუოკი | 21 | 22 | 48,8 |
| ინდიანა | 19 | 22 | 46,3 |
| ტორონტო | 15 | 27 | 35,7 |
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 32 | 11 | 74,4 |
| იუტა | 30 | 13 | 69,8 |
| მინესოტა | 19 | 24 | 44,2 |
| დალასი | 14 | 27 | 34,1 |
| დენვერი | 13 | 31 | 29,5 |
| სან ანტონიო | 11 | 29 | 27,5 |
| ვანკუვერი | 8 | 38 | 17,4 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ლეიკერზი | 32 | 12 | 72,7 |
| სიეტლი | 30 | 13 | 69,8 |
| პორტლენდი | 25 | 19 | 56,8 |
| საკრამენტო | 19 | 25 | 43,2 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 25 | 40,5 |
| კლიპერზი | 16 | 26 | 39,0 |
| ფინიქსი | 15 | 28 | 34,9 |

# ავტორბოლა

ფორმულა 1

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ცხრილები

# დასაბამიდან ვიდრე აქამომდე

წლევანდელი მსოფლიო პირველობა 9 მარტს, მელბურნში, ავსტრალიის გრან-პრის გათამაშებით დაიწყება. იქამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. ამიტომ, კეთილი ვინებოთ და ჯერ მარადი და უტყუარი სტატისტიკა მოვიტანოთ.



ამათი ერთობლივი მონაგარი 19 ჩემპიონობაა!

(წინ) ნელსონ პიკე (ბრაზილია) (3-გზის ჩემპიონი), ხუან-მანუელ ფანხიო (არგენტინა) (5), აირტონ სენა (ბრაზილია) (3) და ჯეკ ბრებჰემი (ავსტრალია) (3); (უკან) ჯეიმზ ჰანტი (ბრიტანეთი) (1), ჯეკი სტუარტი (ბრიტანეთი) (3) და ალან ჯონსი (ავსტრალია) (1)

ფოტო გადაღებულია 1990 წელს, ავსტრალიის დიდ პრიზზე

## ცნობილი გუნდები

| | | გპ | პ | უწ | კჩ | რ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერარი | 108 | 118 | 124 | 8 | 570 |
| 2 | მაკლარენი | 104 | 79 | 69 | 7 | 449 |
| 3 | უილიამსი | 95 | 97 | 100 | 8 | 362 |
| 4 | ლოტუსი | 79 | 107 | 71 | 7 | 490 |
| 5 | ბრებჰემი | 35 | 39 | 40 | 2 | 394 |
| 6 | ბენეტონი | 26 | 13 | 35 | 1 | 234 |
| 7 | ტირელი | 23 | 14 | 20 | 1 | 368 |
| 10 | რენო | 15 | 31 | 18 | 0 | 123 |
| 11 | ალფა-რომეო | 10 | 12 | 14 | 0 | 112 |
| 14 | მერსედესი | 9 | 8 | 9 | 0 | 12 |
| 16 | ლიჟიე | 9 | 9 | 11 | 0 | 326 |
| 19 | ჰონდა | 2 | 1 | 2 | 0 | 35 |
| 26 | ჯორდანი | 0 | 1 | 1 | 0 | 97 |
| 27 | ეროუსი | 0 | 1 | 0 | 0 | 286 |
| 28 | ლოლა | 0 | 1 | 0 | 0 | 193 |
| 29 | მინარდი | 0 | 0 | 0 | 0 | 186 |
| 30 | ზაუბერი | 0 | 0 | 0 | 0 | 64 |

## ყველა დროის უკეთესი 50 მრბოლი

ამათგან მხოლოდ გრანდები ანუ ცნობილი ხალხი ამოვკრიფეთ და მოხვეჭილი ქულების შესაბამისად დავალაგეთ.

| | | | ქ | (ქ) | რ | ჩ | გპ | პ | უწ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი ¯ | საფრანგეთი | 768,5 | 798,5 | 199 | 4 | 51 | 33 | 41 |
| 2 | აირტონ სენა * | ბრაზილია | 610 | 614 | 161 | 3 | 41 | 65 | 19 |
| 3 | ნელსონ პიკე ¯ | ბრაზილია | 482,5 | 485,5 | 204 | 3 | 23 | 24 | 23 |
| 4 | ნაიჯელ მენსელი ¯ | ბრიტანეთი | 480 | 482 | 185 | 1 | 31 | 32 | 30 |
| 5 | ნიკი ლაუდა = | ავსტრია | 420,5 | | 171 | 3 | 25 | 24 | 25 |
| 6 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 362 | | 85 | 2 | 22 | 14 | 25 |
| 7 | ჯეკი სტუარტი = | ბრიტანეთი | 359 | 360 | 99 | 3 | 27 | 17 | 15 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 358 | | 196 | 0 | 9 | 11 | 19 |
| 9 | დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 326 | | 67 | 1 | 21 | 20 | 19 |
| 10 | ემერსონ ფიტიპალდი ¯ | ბრაზილია | 281 | | 144 | 2 | 14 | 6 | 6 |
| 13 | გრემ ჰილი * | ბრიტანეთი | 270 | 289 | 176 | 2 | 14 | 13 | 10 |
| 18 | ხუან-მანუელ ფანხიო * | არგენტინა | 245,5 | 277,5 | 51 | 5 | 24 | 28 | 23 |
| 24 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 189 | | 118 | 0 | 1 | 1 | 4 |
| 44 | ჟილ ვილნევი * | კანადა | 101 | 107 | 67 | 0 | 6 | 2 | 7 |
| 46 | მარტინ ბრანდლი ¯ | ბრიტანეთი | 98 | | 164 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 50 | კრის ამონი = | ახ. ზელანდია | 83 | | 96 | 0 | 0 | 5 | 3 |

შარშანდელ ახალბედა ჟაკ ვილნევს (კანადა) 5 ქულა უკლია ამ ცხრილში მოხვედრას.

შეკრიბა ალეკო ჭაბუკიანმა

### შემოკლებანი:

* განსვენებული; = მრბოლობას საბოლოოდ შეეშვა; ¯ ვინიცობაა კიდევ დაბრუნდეს

ქ ჩათვლილი ქულები; (ქ) მოგროვილი ქულები (მათი ნაწილი ძველი წესების გადამკიდე არ ჩათვლილა)

რ რბოლათა რაოდენობა; ჩ ჩემპიონობა; კჩ კონსტრუქტორთა ჩემპიონობა

გპ მოპოვებული დიდი პრიზები (გრან-პრი); პ პოული (მოწინავე სასტარტო პოზიცია); უწ უსწრაფესი წრე (რბოლისას)

## ძრავები

| | | გპ | პ | რ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფორდი | 175 | 132 | 499 |
| 2 | ფერარი | 108 | 118 | 570 |
| 3 | რენო | 86 | 122 | 269 |
| 4 | ჰონდა | 80 | 74 | 251 |
| 11 | მერსედესი | 9 | 8 | 61 |
| 15 | ჰარტი | 0 | 2 | 128 |
| 16 | პეჟო | 0 | 0 | 49 |

## 100-იანთა კლუბი

ის მრბოლები, ვინც მინიმუმ 100 რბოლა გამართა

| | | | რ | გპ |
|---|---|---|---|---|
| 1 | რიკარდო პატრეზე | იტალია | 256 | 6 |
| 2 | ანდრეა დეჩეზარისი | იტალია | 208 | 0 |
| 3 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 204 | 23 |
| 4 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 199 | 51 |
| 5 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 196 | 9 |
| 8 | გრემ ჰილი | ბრიტანეთი | 176 | 14 |
| 10 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 171 | 25 |
| 11 | მარტინ ბრანდლი | ბრიტ | 164 | 0 |
| 13 | აირტონ სენა | ბრაზილია | 161 | 41 |
| 18 | ემერ. ფიტიპალდი | ბრაზილ | 144 | 14 |
| 22 | მარიო ანდრეტი | აშშ | 128 | 12 |
| 26 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 118 | 1 |
| 38 | ბრუს მაკლარენი | ზელანდია | 101 | 4 |

„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

# რალი

## ლიატიმ შეფების ჯიბაზე იმარჯვა

დაკარის რალი ერთია და რალისტთა მსოფლიო პირველობა სულ სხვა. პირველი რომ დასრულდა, იმავე დღეს გაჩაღდა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი რალი — მონტე-კარლოსი.

ოთხდღიან შეჯიბრში გაიმარჯვა პიერო ლიატიმ (იტალია, სუბარუ-იმპრეცა), ვინაც 16 ჩქაროსნული ეტაპიდან 9-ში გაიმარჯვა. მასთან 55 წამი წააგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კარლოს საინსმა (ესპანეთი, ფორდ-ესკორტი), 2 წუთი და 31 წამი — შარშანდელმა ჩემპიონმა თომი მაკინენმა (ფინეთი, მიცუბიში-ლანსერი), 5:05 — არმინ შვარცმა (გერმანია, ფორდი), 15.54 — უვე ნიტელმა (გერმანია, მიცუბიში), ხოლო 18.28 — ჰენრიკ ლუნგარდმა (დანია, ტოიოტა-სელიკა).

მსოფლიო პირველობის მონაგარში ლიატის 10 ქულა ჩაეთვალა, დანარჩენებს კი 6, 4, 3, 2 და 1. მანუფაქტურერთა შეჯიბრში სუბარუს 10 ქულა აქვს, ფორდს — 9, მიცუბიშის — 6, ხოლო ტოიოტას — 1.

ლიატიმ საჩემპიონატო რალი კარიერაში პირველად მოიგო. ეს მოულოდნელობად მიიჩნიეს, რაკი იგი „სუბარუში“ ოდენ მესამე მძღოლია. მასზე მეტად შეფები შარშანწინდელ ჩემპიონ კოლინ მაკრეის (ბრიტანეთი) და კენეთ ერიქსონს (შვედეთი) აფასებენ. შვედს ამჯერად არ უასპარეზია, მაკრეი კი ბოლოსწინა დილას IV ადგილზე იყო, მაგრამ მერე გავარდა.

იმ მომენტში ლიატი საინსისა და მაკინენის კვალად III ადგილზე მიდიოდა. სამივეს ერთნაირი საბურავები შეერჩია. გზა ბევრგან თოვლიანი და მოყინული იყო.

23 ეკიპაჟიდან ფინიშს 17-მა უწია. კარგა ხნის შემდეგ წელს პირველად მოხდა, რომ აღარ გამართულა ღამის ეტაპი, ზედ ფინიშის წინ კი მონაწილეებმა ფორმულა-1-ის დიდი პრიზის ტრასის ნაწილიც გაიარეს. ეს ეტაპი შვარცმა მოიგო.

ვასილ გუჩმაზაშვილი

# მთის თხილამურები

## იტალიელ ქალთა პარპაში

წინა კვირაში ქალები კორტინა-დამპეცოს (იტალია) „ოლიმპია დელლა ტოფანეს“ ტრასაზე ასპარეზობდნენ. მასპინძლებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და სამგზის გამარჯვება მოიპოვეს.

24. I. დაშვება: **1-2. იზოლდე კოსტნერი (იტ) და ჰაიდი ცურბრიგენი (შვეიცარია); 3. კატია ზაიცინგერი (გერმანია) 0,02; ... 7-8. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) 0,57** ... დაშვების მსოფლიო თასი (4 ეტაპის ჯამი): **ცურბრიგენი 269 ქულა; ზაიცინგერი 266; რენატე გეჩლი (ავსტრია) 227; კოსტნერი 196; ვიბერგი 156; ჰილდე გერგი (გერ) 136;** ...

25. I. სუპერ-გიგანტი: **1. კოსტნერი; 2. ვიბერგი 0,10; 3. ზაიცინგერი 0,20; 4. გერგი 0,43** ... სუპერ-გიგანტის მსოფლიო თასი (5): **ვიბერგი 389; გერგი 330; კოსტნერი 305; ზაიცინგერი 274;** ...

26. I. გიგანტური სლალომი: **1. დებორა კომპანიონი (იტ); 2. ზაიცინგერი 0,59; 3. სონია ნეფი (შვეიც) 1,42; 4. ვიბერგი 2,04; 5. ცურბრიგენი 2,09;** ... გიგანტურის მსოფლიო თასი (6): **კომპანიონი 460; ანიტა ვახტერი (ავსტ) 349; ზაიცინგერი 340; საბინა პანძანინი (იტ) 229;** ...

მსოფლიო თასი (21 ეტაპის ჯამი): **ვიბერგი 1 239 ქულა; ზაიცინგერი 945; კომპანიონი 755; გერგი 694; ვახტერი 589; კოსტნერი 564; ცურბრიგენი 534; მარტინა ერთლი (გერ) 451; ურსკა ჰროვატი (სლოვენია) 428; გეჩლი 367;** ...

ორგანიზატორებს უდროოდ ჩამოწოლილმა ნისლმა გეგმები აურია: რაკი დაშვების ვარჯიშები ოთხშაბათს შეფერხდა, შეჯიბრი ხუთშაბთიდან პარასკევისთვის გადაიდო. თითო დღით ჩაიწია დანარჩენმა ნომრებმაც, რის გამოც მორზინიდან (საფრანგეთი, 22. XII) გადმოდებული გიგანტური ვეღარ ჩატარდა.

ხუთშაბათს ვარჯიშზე დაეცა და მარცხენა მუხლის მყესები დაიწყვიტა 23 წლის ერთლმა, გიგანტურის თასის შარშანდელი მფლობელი რომაა. გერმანელთა ექიმის რჩევით იგი არ გარისკავს და აღარ იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატში, კვირას რომ იწყება სესტრიერეში (იტალია). ზუსტად ასეთივე ტრავმა და ისიც ვარჯიშზე, ვეილში (აშშ), ოღონდ დეკემბერში მიიღო დაშვების თასის შარშანდელმა ჩემპიონმა პიკაბო სთრითმა (აშშ) და ისიც სეზონის ბოლომდე გავარდა.

დაშვების შეჯიბრი უიშვიათესი შედეგით დასრულდა — I და II ადგილები გაიყვეს. **მას აქეთ, რაც 1966 წლიდან მსოფლიო თასის გათამაშება შემოიღეს, ამგვარი რამ ოდენ მეექვსედ მოხდა. პირველობის წინა გაზიარებაც კორტინაში მომხდარა ამ სამი წლის წინ.**

29 წლის ცურბრიგენმა, შარშანდლამდე ყველა დიდ შეჯიბრში მეორეზე უკეთეს ადგილს რომ ვერ იჭერდა, ორი კვირით ადრე, გერმანიაში გამართული დაშვებაც მოიგო. ახლა დაშვების თასზე გაუსწრო თვით ამ სახეობის ოლიმპიურ ჩემპიონ ზაიცინგერს, რომელმაც გამარჯვებულებთან იოტისოდენი წააგო.

**კოსტნერმა მეორე დღეს უკვე ერთპიროვნულად გაიმარჯვა მეორე ჩქაროსნულ დისციპლინაში — სუპერ-გიგანტში.** ამით იზოლდემ სამაგიერო გადაუხადა ვიბერგს, ვისაც წინა სუპერ-გიგანტში ჩამორჩა. ზაიცინგერი ისევ ვერ შეწვდა პირველობას და გაცეცხლდა, ბოლო დროს კვარცხლბეკის ქვედა საფეხურებს მივეჩვიეო.

21 წლის კოსტნერმა, სუპერ-გიგანტის მსოფლიო ჩემპიონი რომაა, ამ დღეს თასზე მეოთხედ მოიგო ეტაპი, ამასთან მესამედ — კორტინაში. იზოლდეს მამა ხეზე მკვეთი ყოფილა, ქალი კი მას ნაკეთობებს უფერავს. კოსტნერის პირველი გამარჯვება — 1994 წელს, გარმიშში დაჩრდილა ავსტრიელი ულრიკე მაიერის დაღუპვამ.

**კოსტნერისგან განსხვავებით 26 წლის კომპანიონიმ პირველად გაიმარჯვა მშობლიურ ტრასაზე,** თუმცკი 1987 წლიდანაა დიდ სპორტში, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და მანამდე თასის 10 ეტაპიც მოუგია. დებორა გამოტყდა, შინ გამარჯვებაზე ტკბილი არაფერი ყოფილაო.

## ავსტრიული დუბლი

ვაჟებს კიცბიუელის (ავსტრია) ცნობილმა შტრაიფის ტრასამ უმასპინძლა, ჰაანენკამის მთაზე რომაა მოწყობილი.

24. I. ორ-ცდიანი, მოკლე დაშვება: **1. ლიუკ ალფონი (საფრანგეთი); 2. ვერნერ ფრანცი (ავსტ) 0,40; 3. ვილიამ ბესე (შვეიც) 0,58; 4. იოზეფ შტრობლი (ავსტ) 0,67; 5. ფრიც შტრობლი (ავსტ) 0,80;** ...

25. I. კლასიკური დაშვება: **1. ფ. შტრობლი; 2. ფრანცი 0,17; 3. ალფონი 0,22; 4. ი. შტრობლი 0,26;** კრისტიან გედინა (იტ) **0,52;** ... დაშვების მსოფლიო თასი (8 ეტაპის ჯამი): **ალფონი 605 ქულა; გედინა 534; ფრანცი 438; ფ. შტრობლი 399;** ...

26. I. სლალომი: **1. მარიო რაითერი (ავსტ); 2. ალბერტო ტომბა (იტ) 0,19; 3. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვ) 0,45; 4. თომას შტანგასინგერი (ავსტ) 0,61; ... 7. თომას სიკორა (ავსტ) 0,99;** ... სლალომის თასი (7): **სიკორა 616; შტანგასინგერი 410; სებასტიან ამიე (საფრ) 268; VIII. ტომბა 192;** ...

დაშვებისა და სლალომის კომბინაცია: **1. ლასე ხიუსი (ნორვ); 2. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვ) 0,50; 3. ფრანცი 3,76;** ...

მსოფლიო თასი (24): **ომოდტი 616 ქულა; ალფონი 637; გედინა 620; სიკორა 618; მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიც) 606; ფრანცი 438; ჰანს კნაუსი (ავსტ) 545; ი. შტრობლი 500; გიუნთერ მადერი (ავსტ) 459; ფ. შრტობლი 451;** ...

ფრიც შტრობლმა კიცბიუელში **40** ათასი ქომაგი გაახარა

ასოშიეითიდ პრესი

კომპანიონიმ წელს ზედიზედ მესამედ მოიგო გიგანტური. ზაიცინგერმა ამჯერად კი აჯობა ვიბერგს. კატიამ კორტინაში 200 ქულა მოიხვეჭა, პერნილამ — 164. გერმანელი ამით ბროლის დიდი გლობუსისათვის გამართულ დოლში ოდნავ წამოეწია შვედს.

ფინიშთან დაეცა და მუხლის, ოღონდაც მარჯვენას მყესები დაიწყვიტა ჰროვატმა. ისიც სეზონის ბოლომდე დაემშვიდობა ასპარეზს. კოსტნერს პირველ ცდაზე კარი გამორჩა.

**31** წლის ალფონმა ამ სეზონში მესამედ, სულ კი მეცხრედ მოიგო დაშვება და ქულებით გედინას გადაუსწრო. ამ ფრანგსავე ეკუთვნის იშვიათი მიღწევა: ორი წლის წინ, იქვე, ერთ დღეში გამართულ ორივე-ნაირ დაშვებაში გაიმარჯვა!

გედინას ზურგი ტკიოდა. კლასიკურ დაშვებაში მასპინძლებმა 1986 წლის შემდეგ პირველად დაიკავეს I და II ადგილები. 24 წლის შტრობლმა დეკემბერში ვალდიზერშიც (საფრანგეთი) გაიმარჯვა, უილბლო ფრანცმა კი სეზონში მეხუთედ (!) დაიჭირა II ადგილი. ალფონი შაბათის შემდეგ მსოფლიო თასის-ლიდერი შეიქნა.

კვირას ასპარეზს დაუბრუნდა **30** წლის ტომბა და ლიანგს სლალომის კლასი უჩვენა. გაიმარჯვა „სუპერ-მარიოდ“ ცნობილმა რაითერმა, ფერმაში მუშად რომ იყო, რათა კერძო მწვრთნელისთვის ჯამაგირი ეძლია. ამ სეზონში 5-გზის პირველ სიკორას II ცდა გაუცუდდა, ომოდტი კი კომბინაციაში მოხვეჭილ ქულათა წყალობით ლიდერი შეიქნა.



ერთა თასი (ყველა ვაჟისა და ქალის მონაგართა ჯამი): **ავსტრია 8 004 ქულა; იტალია 4 462; შვეიცარია 4 119; საფრანგეთი 3 232; გერმანია 3 120**

მსოფლიო პირველობამდე ქალებიცა და ვაჟებიც ლააქსში (შვეიცარია) შეივლიან, დღეს კი შლადმინგში (ავსტრია) ვაჟთა ღამის სლალომი გაიმართება.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვევლია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29